

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
საბიბლიოთეკო

სამშენებლო



ჟურნალ „ჯეჯილისა“




I	ყრმა იესო (სურათი)	194
II	აღდგომა ლექსი გ. ქუჩიშვილისა	195
III	მშვიდობით სააღდგომო გ. ქუჩიშვილისა	196
IV	დაკარდილი გედი ტასისა	198
V	მუქთახორა ფრინველი (თარგმანი) ა. ფ.	201
VI	გლეხის შვილი ლექსი ვ. რუსძისა	203
VII	დედა (დასასრული) თარგმანი ა. ფ.	204
VIII	მელა გუბილის საზარელი თავგადანახალი თარგმანი ელ. დემოფონ-წერეთლისა შემდეგი იქნება	208
IX	ასაწერი სურათი და გამოცანების ახსნა.	216
X	გახაფხული ლექსი დ. თურდღისძირეთლისა	217
XI	ჩვენი მოღვაწენი და მწერლები. დავით გურამიშვი- ლი. ჯადო გემბეჭდვისა	218
XII	ჯეკი. ცეცხლის მქრობელი რაზმის ძალი (შემდეგი) თარგმანი ეკ. მესხისა	223
XIII	შესანიშნავი ქვეყანა წვრილი მემამულენი დასასრუ- ლი. ანასტასია წსრეთლისა	233
XIV	ეკ გაბაშვილს (ორმოცი წლის იუბილეს გამო) ლექსი ჯადო გემბეჭდვისა	237
XV	მოგონება ეკატერინე გაბაშვილისა	240
XVI	თუთიყუშები (დასასრული) ალექსი ჭიჭინაძისა	245
XVII	სხვა და სხვა ხალხი, I გოტენტოტები. II კაფრი	251

მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ 1911 წ. ხელის მომწერლებს დაურთიგდებათ სა-
ხუჭრათ ორი წიგნი.

- 1) ღვთის წყალობა დასურათებული მოთხრობა გიორგი
წერეთლისა.
- 2) საყმაწვილო ამბების კრებული სურათებით.

„ჯეჯილისა“ რედ.—ში იუიღება შემდეგი ახალი გამოცემა:
 „ცხოველების გამკრიახობა“ 25 კ.
 „ბატონ-ყმობის გაუქმება“ 12 კ.
 „საქართველოს ისტორია“, ორი ქართით ს. გოგუაძისა . 20 კ.



საქმეაწვილო, ნახატებიანი
უშრნალი.

იზარდუ მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, ვახდი ყანაო!..
ი. დ.

ანრილი, 1911

◀ წელიწადი მეოცდარდე ▶

ქუთაისი	№
თბილისი	№
ქვემო ქართლი	№
სამცხე-ჯავახეთი	№
იმერეთი	№

944

თ ბ ი დ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი აზხ. „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1911

1338
F 4502



„Գրեմս օցնու“.

ადღგომა.



უნარი ღაძეა... ციმციმით
ცაზე ვარსკვლავნი ბრწყინავენ;
ბთის ძეგრდზე ღრუბლის ცრემლები
ძარგალიტვიით ბზინავენ.

ადღგომის ხარებს ჩამოჰკრეს,
ბიჭებმა სჭეიტეს თვალები;
კისკისით წამოიძალნენ
ზაწია გოგო-ქალები.

ვინ წინ და ვინ უკანაო, —
ერთმანეთს ეცილებიან,
ტანთ წითელ კაბებს იცვაძენ,
კოპწიათ იკაშმებიან.

ლიტანიაა, ბაღლები
საედრისკენ ეძურებიან;
ქრისტე აღსდგაო, — სიცილით
გაიძახიან, სტკბებიან!

გ. ქუჩიშვილი.



მშვიდობით!..

სააღდგომო.



მშვიდობით, ჩემო საუყვარელო, მთის ამწვანებულ კალთებო, ჩემო მშვენიერო ტუეკ, ანკარა წყაროვ, მობც ბინე ველ-მინდორო!.. უკანასკნელი სეკდიანი ბლავილით გემშვიდობებათ თქვენი ბეკეკა. ვინ იცის ჩვენი მეცხვარე საით მხარეს წავგვასხავს, რომელ ქალაქის მოედანზე მიგვრეკავს გასასუიდათ...

— ძვირფასო დედავ, არასოდეს ისე ძლიერ არ მეუბრებიან, როგორც დღევანდელ დღეს, როდესაც შენი მუშუები გასაყუსულის ტებილი რმით ივსებიან...

მშვენიერი ხარ ბუნებავ ჩემო, მშვენიერი.. ძაგრამ უფრო ლამაზი და ძომინბლავი მაშინ ხარ, როდესაც სააღდგომოთ ემხადები... ზამთრისაგან გაყინული გული მსურვალე მზის მეოხებით გილხვება, ცომივით კიფუვდება...

შენ სათუთ მეკრდხე სიუვარულით დამდნარი ნისლიც-კი ცრემლებათ გეწურება...

ვეელანი უსასღვრო აღტაცებით გესალმებიან: ცის მნათობნი თვალების ქუკუკით გილოცავენ განასლების დღეს...

გუნდ-გუნდი ფრინველები საუცხოვო ჭიკჭიკითა და სტვენით ავსებენ შენს არე-მარეს...

შენც ამ აღერსის ქვეშ იფურჩქნები და იძლები ათას ფერ სურნელოვან ვვავილებით...

საუვარელი ხარ დედა ჩემო, საუვარელი! მაგრამ უფრო საუვარელი მაშინ იქნებოდი, რომ შენს მუშუ-მკერდ-ზე უმანკო სისხლს არ აქცევდნენ შენივე შვილები... მშვიდობით ვეელაჰ!

არასოდეს არ დაგივიწიებ, არასოდეს...

ან კი როგორ დამავიწოდება ის მხარე, სადაც დაუბადებულვარ და კუნტრუშით მინავარდნია... ეს ხომ თვით ჩემი თავის დავიწიება იქნება. ვაი, ჩემს თვალებს! — რაღათ მინდა მე სიბრალული...

არა, დედა ჩემო, არა... განა შენდამი უკვდავ სიუვარულს ჩემი გულ-დანწევებული გამოთხოვებაც არ მოწმობს?!

მაშ, თუ ასეა, ნურც შენ დაივიწიებ შენს ბეკეკას, რომელიც უკანასკნელათ გესალმება ცრემლით სახსე ღვთიური თვალებით... აგერ მიუყვაროთ გაუმაძღარი კაცის კუჭის დასაკმაყოფილებლათ.

სიცოცხლის გულო, იეჰე მშვიდობით...

შენი ზატარა, უმანკო კრავი...

გ. ქუჩიშვილი.



დაკოდელი გედი.



როტ გაზაფხულის დღეს სწარსე-
თის მეფის წაღკოტს გადაუარო
თეთრი გედის გუნდმა. ჩრდი-
ლოეთისაკენ, გიძალანს მთების-
კენ მიფრინავდენ დასაბუდებლათ.
თოვლიან მთებისკენ ჟრიაძულით
და სინარულით მიეშურებოდენ.
მეფის ძმის წულმა შეხედა ცაზე
თეთრად მოფენილ ფრინველებს,
მოძარტა შვილდ-ისარი და ეს-

როლა გუნდის ბელადს, რომელსაც ცის სივრცეში თა-
ვისუფლათ გაეძალა ფრთები გედს ისარი მიკ ფრთა-
ში მოხვდა და დაკოდა. საბრალო ფრინველს აღის-
ფერი სისხლის წვეთები თეორ ფრთებზე დაანდა, თა-
ვი ველარ შეიძაგრა და ჩამოვარდა.

კეთილი და გულჩვილი მეფის ახალგაზრდა შვი-
ლი ახლოს მოხვდა იმ ადგილს, სადაც ჩამოვარდა
გედი. ემაწვილმა მაშინვე აიუვანა, კალთაში ჩაისვა და
დაუწყო აღერსი და დაუვაუება. ხელს უსვამდა მის
აწეწილ ფრთებს, ამშვიდებდა, ხელს ადებდა აკანკალე-
ბულს მთოლვარე გულზე. მარცხენა ხელით გულში
იკრავდა გედს, მარჯვენით კი ფრთხილათ ცდილობდა
იარიდან გამოეძრო იმის დაძღუბველი ისარი. მერე მა-
ლაძოთ წაუსვა თაფლი და სედ ახალი დაკრეფილი ფოთ-

ლები დახადო. მეფის შვილს თავის დღეში არ ეგრძნო იარისსაგან ტკივილი და სცდელათ ხელში შეირჭო ისარი. მან მწარე ტკივილი იგრძნო. შეძრწუნდა და ცრემლები მორეულმა კედს უფრო მეტათ დაუწყო ალერსი.

ამ დროს მსახური მიუახლოვდა და მოახსენა:

— ჩემმა ბატონმა, მეფის ძმის წელმა, მოჰქვია კედი, რომელიც ამ ვარდების ბუჩქებში ჩამოვარდა. მან მიბრძანა გაძოგაროვით. მიბრძებთ, რომ წავეულო?

— არა, უპასუხა ემაწვილმა, — ფრინველი რომ ძვედარი უოფილიყო უნდა ამისთვის მიმეცა, ვინც მოჰქვია, მაგრამ კედი ცოცხალია. ჩემმა ბიძაშვილმა მხოლოდ ღვთიური ძალა წაართვა, რომელიც მას თეთრ ფრთებში ჰქონდა.

მაშინ თვითონ მეფის ძმის წული მიუახლოვდა და უთხრა:

— გარეული ფრინველი ცოცხალი თუ ძვედარი ეკუთვნის იმას, ვინც მოახვედრებს ისარს. სანამ ფრინველი ჭაერში ფრინავს, არავის ეკუთვნის და თუ ძირს დაეცა, — მაშ ჩემი უოფილა. მომეცი, მხოლოდ, ჩემი დავლა.

ემაწვილმა უფრო მეტი ალერსით კედი მიიკრა ლოყასე და თამბაღ წამოიძახა:


— არა, კიდევაც გეუბნები არა! ფრინველი ჩემია. სიყვარული და გულშემატკივანელობა უფლებას მამლევს დავისაკუთრო ფრინველი. იმედი მაქვს, რომ კვლავაც ჩემ ხაღხს ვასწავლი შებრალეობას არა თუ მარტო კაცთა, — საერთოთ ეველა სულიერისა. თუ მა-

ინც ვინდა წამართვა გედი, დაუკეითხოთ ნასწავლ კაცებს და, როგორც ისინი გადასწუვეუტენ—ისე მოვიქცეთ. ვამართეს სამჯავრო. შეიკრიბენ ნასწავლნი. ერთი ერთს ამბობდა, შეორეუბეორეს. ბოლოს წამოდგა ერთი მოხუცებულად და სთქვა:

— ვინც მისცა სიცოცხლე—მისია ფრინველი და არა მისი, ვინაც უნდოდა მისი წართმევა. მოკვლა. მიეცით გედი იმას, ვინც სიკვდილს გადაარჩინა.

ვეელას მოეწონა ეს სამართლიანი განახენი.

ტასო.



მუქთახორა

ფრინველი.



ოგორც ცხოველთა შორის—
ფრინველებშიაც არიან მუქთახო-
რები. ასეთ ფრინველებს ეკუთვ-
ნის ერთი ფრინველი, რომელსაც

ემახიან «გზის მჩვენებელს».*) ეს ფრინველი ადამიანს
გაუძღვება წინ და უჩვენებს ადგილს, სადაც არის შენა-
სული თაფლი. ამას ეს ფრინველი იმიტომ კი არ ჩადის,
რომ ადამიანი უუვარდეს, ის ძნოლოდ თავის თავზე ფიქ-
რობს, რომ უხიფათოთ გამოძღეს. თვითონ მასაც ძალიან
უუვარს თაფლიც და ფუტკრის კვერცხებიც, მაგრამ სკას
ვერ მიუახლოვდება. ადამიანი კი, როდესაც სკას და-
ანგრეკვს, მიწასზე ცოტაოდენ თაფლს დაეჭევს, ან და
მადლობის გადასახდელათ თაფლს ისეც დაუტოვებს.

ეს ფრინველი დიდი ხერხით მოსძებნას ტყეში
ფუტკრის ბუდეს, მერე დილა—საღამოებით, როდესაც
მას შიშხილი უფრო აწუსებს, უახლოვდება ადამიანის
ბინას და კივილს იწეებს:—მერრ, მერრ, მერრ—და
ცდილობს ადამიანის უურადლება მიიქციოს.

მის კივილზე უსათუოდ ვინმე გაძოვბა. რაკი ფრინ-
ველი დარწმუნდება, რომ მის ხმას მიაქციეს უურადლე-
ბა—ის ხელახელა მიფრინავს წინ, იმ ადგილისაკენ,
სადაც თაფლი ეკულება. იმ ადგილებში მცხოვრებნი
უფრო უძეტესათ გოტქეტოტები არიან. ისინი წუნარად

*) ჩვენში მინაგვანი ფრინველია «ეტიკი».

მისდევნენ ფრინველს, რომ არ დააფრთხონ; დრო გამო-
შვებით სტვენით ატეობინებენ ფრინველს, რომ მოგ-
დევთო.

ბუნების მეტყველება შხარძანძა თვითონ მიიღო
მონაწილეობა ამ გვარ მოგზაურობაში და ასე მო-
გვითხრობს: თუ თაფლი ძორს არის—ფრინველი გზა-
ში ისვენებს, უცდის უკან ჩამორჩენილ მგზავრებს და
მოახლოვებაზე თავისებურათ გაჭკვივის, თითქოს ამ-
სწევებს: წამოდით, ნუ გეძინიანთო. თუ თაფლი ახ-
ლოს ეგულება ის იშვიათად გაჭკვივის, მაგრამ მკაფი-
ოდ. სოკჯერ ფრინველს ძალიან მოუნდება თაფლი
და წინ გაასწრობს, მერე უკანვე დაბრუნდება და თით-
ქოს წყრება, რატომ უკან ჩამომრჩითო. როდესაც
ფრინველი მიფრინდება სკასთან, რომელიც ან კლდის
ნაპრაღშია, ან ხის ფუტურში და ან ჰირდაპირ მი-
წაში, ის მაშინვე ძაღლა-ძაღლა ავა და რამდენსამე
სანს დასტრიალებს ამ ადგილს. მერე შეჯდება მან-
ლობელ სეზე და მოთმინებით უცდის თავის წილ
თაფლს.

გოტენტოტები ანახლეულათ დასცლიან სკას,
ფრინვლის გასამრჯელოთ დაუტოვებენ თაფლს კიზ-
რუჭში და თაფლის გარდა ფუტურის კვერცხებსაც.

გოტენტოტები ამბობენ, რომ ვისაც სურს ხელო-
ბათ გაინადოს ამ გვარად თაფლის მოვნა, უნდა ფრინ-
ვებს სულ ცოტა თაფლი დაუტოვოს, ხოლო იმოდენა,
რომ ძაღა გაუღვიძოს, სადერდელი აუძალოს და იმუ-
ლებული განადოს, რომ საჩქაროდ სხვა სკა მოძებნოს
ძაღის დასაკმაყოფილებლათ.

გლეხის შვილი!



აზაფხული ტანტყე დაჯდა,
მსემ ოქროს თმა გაიძალა
და გაუთბა მთა-ბარს გული,
სასიცოცხლო იგრძნო ძალა.

ტყე აუვაჰდა, აზურმუნტდა,
მოიქარგა მინდორ-ველი,
ნაკადული აჩუხჩუხდა,
მთასა მოწუდა სიო ნელი;

ვაზი ვაზსა გადაეჭდა,
გაიძალა ნაზი ია
და ბუღბუღმაც შემოსძახა
საამური „ტია-ტია“...


პაწაწინა გლეხის შვილი
სკოლისაკენ მიცუნცულობს,
გაკვეთილსა იზეპირებს,
ანს-ბანს აბამს, ჭირნახულობს.

თავს მერცხალი დასტრიალებს
ელვასავით სწრაფი, ძკვეთრი
და ხმა ტკბილათ დაჭიკჭიკებს
ის კუდრაჭა, გულ-ძკერდ თეთრი:

„აგრე, აგრე, პაწაწინავ!
არ დაზოგო ნიჭი, ძალა,
თუ გინდა რომ არ შეიქნე
შავ ძალთ მონა, ძაჩანხალა!“

დედა.

(დასასრული).



მატრიონა გაჩერდა, გიქსავით გაი-
უერებოდა.

უცებ გაიღო კარები, ისძის ქალ-
ბატონის ხმა:

— რას გაძტერებულხარ? ხარმაცობ განა? დარე-
ცხე ჩქარა ჭურჭელი და დაწეკი; ტუუილად ნუ სწვავ
ნავთს?

მატრიონამ დარეცხა ჭურჭელი, ჩააქრო ლამზა,
დაწვა დასაძინებლად, მაგრამ სიბნელეში დარდი ერთი
ორად უფრო გაუმწვავდა. სად არის ახლა მისი სენ-
კა? სძინავს თუ არა? აჭამეს თუ არა? იკონებს დე-
დას? იქნებ თხოულობს რასმეს და სხვებს არ ესძის
მისი ენა! იქნება გალახეს? იქნებ მარტოა, ბნელა-
ში, ეძინია, დედას ეძებს, ხელებს აქნევს, კანკალებს,
თრთის, ფოფხავს, ტირის...

მატრიონა მთელი ღამე ძალზე იტანჯებოდა, ძნე-
ლი წარმოსადგენელი იყო მისი ტანჯვა. მოუთმენ-
ლათ ელოდა დილას, რომ გაქცეულიყო ბაღში. რაც
მოხდებოდა, მოხდეს. ის იკითხავს, გაიგებს, ნახავს თა-
ვის სენკას, მანთან იქნება ერთად ცინეშიაც კი!

ჯერ კიდევ კარგათ არ იყო გათენებული; მისი

ქალბატონები არ იუვენ ამდგარნი, მაგრამ მატრიონა მათ ადგომას ვერ მოუცდიდა. ჩუმათ გააღო მან კარი და გავიდა სასკლიდან. ქუჩაში ისეთივე სიბნელე და ნისლი იყო, როგორც გუშინ, როდესაც ის მძიწრი დადიოდა ბავშვით ხელში.

აი, ნახავს სენკას და წამოიყვანს... ბერე რა მოვლის? ისევ შიმშილი! ისევ ქუჩაში წანწალი! — იქნებ კარვ ოჯახში წაიყვანეს ბავშვი და ახლა სძინავს მას თბილ ქვეშაგებში. მატრიონა არ გაამსულს, რომ დედამ ბავშვისა. ჯერ ყოველიფერს გაიკებს.

აი ბაღიც. გალავანთან დგას მოხუცი დარჩა და ეინულს ლოძით ამტვრევს. მატრიონა გაჩერდა, ხელი მიაბჯინა გალავანს. ბაღში არავინ იყო. ხეზე უვაზი რაღაცას კენკავდა, ხიდან სცვივოდა თოვლი.

— შენ რა გინდა? — ჰკითხა მოხუცმა.

— არაფერი, დავიღალე!

— დაჯექ, დაისვენე... აი, აგერ ადგილი, ჩამოჯექ! დარჩამა შეუშვა დედაკაცი ბაღში, მატრიონა დაჯდა. მოხუცი დადიოდა გალავანთან, ამტვრევდა ეინულს და ახველებდა; ცოტა ხნის შემდეგ მიუახლოვდა მას, თან თამბაქოს წევა დანიწყო.

— სოფლიდანა ხარ?

— სოფლიდან ჩამოვედი ადგილის საძოვნელად!

— ქალაქს ჩამოდი? აქ ისედაც ბევრი ხალხი წვალობს, სიმშილით კვდება. აი, გუშინაც აქ ვიღაც საცოდავმა ბავშვი დასტოვა, თვითონ-კი გაიქცა!

— სად არის ესლა ის ბავშვი?

— ჩემთან, ოთახში. საცოდავი მთელი ღამე ტიროდა, დედას ეძახდა. ვინ იცის დედაც როგორ დარდობს! იქნება ისიც მთელი ღამე ტიროდა. ორ-სამ დღეს კიდევ შევინახავ ბავშვს, მერმე კი ჰოლიციას გამოუცხადებ... რაც უნდათ ის უყონ! გაავსავნონ ობოლთ აღსაზრდელ სახლში, ან კიდევ სადმე!

— ბაბუა, ნუ გაავსავნი ჰოლიციაში!—ძიაფერი მატრიონამ.

— მაშ, რა ვუყო? დედას ვინ მოძებნის?

— მე ვარ დედა! ბავშვი ჩემია, მე დავტოვე. შიმშილით ვკვდებოდით!

— ადგილი არა გაქვს?

მატრიონამ ტირილით დაულაგებლათ უამბო ძას, რა გამოსცადა ამ ერთი თვის განმავლობაში ქალაქში.

— მიჩვენე, სადაა ჩემი შვილი, დამიბრუნე!

მოხუცმა წაიუვანა მატრიონა თავის ქონისაკენ. იქ განიერ საწოლზე ეძინა მოხუცებულ დედაკაცს და მასთან ერთად სენკას.

— ჩუმად, არ გააღვიძო!

ბებერს გამოედვიდა, ბავშვს კი ეძინა. დაღალული იყო მთელი ღამე ტირილით!

დედა ფრთხილათ მოეფერა.

— წაიუვან ბავშვს?—დაეკითხა დარაჯი.

— წავიუვან!

— მერე... შიმშილი?

— რა ვქნათ, ღმერთი მოწუხლევ! სად მივბარო? სანამ სენკას ეძინა, ესენი სწვევტდენ მის ბედობას.

— დატოვე ჩვენთან, — უთხრა მოხუცმა. დაბრუნდი შენ ადგილზე და თანაც სხვა მოსმებზე ისეთი, რომ ბავშვით აგიუფანონ. მაშინ წაიუფანე ესეც.

— მართლაც, დაგვიტოვე ჩვენ, — უთხრა დედაკაცმა, მე მოუვლი. შვილიშვილსავე მოუვლი. შენ-კი იარე ამის სანახავად. როდესაც მოეწეობი, მაშინ წაიუფანე!

ასე გადასწევიტეს საქმე.


სენკამ გაიღვიძა, დაინახა მოხუცი და ტირილი დააპირა, მაგრამ უეცრად შესედა დედას.

— დედა! — შეჭკვილა და გულში ჩაუვარდა.

როდესაც მატრიონა შინ დაბრუნდა, მის ქალბატონებს ჯერ კიდევ ეძინათ. ნასადილეკს მატრიონამ გამოუცხადა, რომ ზატარა შვილი ჭეპვს მებაღესთან მიბარებული და უნდა წავიდეს მის სანახავად. ასე დადიოდა ის სენკასთან უოველ დღე ერთი-ორი საათით. სენკა მალე შეეჩვია მოხუცს, — მას ეძახდა „ბაბუას“, მის ცოლს კი „ბებიას“. სამი თვის შემდეგ მებაღემ უმოვნა მატრიონას ისეთი ადგილი, სადაც ბავშვით აიუფანეს. დღესასწაულებში დედა-შვილი მოვიდოდნენ „ბაბუას“ და „ბებიის“ სანახავათ.


• • •

(თარგმანი)



მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ჰერგოსი)



I.



აზაფხულის საღამო იყო, მარტის თბილი საღამო, ზევრი სხვა საღამოებისთანა, სხვსე-მთვარინანი და დიდ-ქარინანი საღამო, რომელიც ნებას არ აძლევდა ზატარა კვირტებს უინვის შიშით თავის მწვანე სატუსალოდან გამოსულიყვენ.

ეს საღამო სხვა საღამოებისთანა არ იყო გუპილისათვის.

ბინდს თავისებურათ გადაეშალა მთელ არე-მარეზე მუქი ჩრდილი, აემდღლებინა მწვერვალები, ჩაედრძალებინა ვაკეები, და კიდევ გამოეყვანა თავთავის ბინიდან ტვის სხვა და სხვა ცხოველები; გუპილი კი თითქო ურბადღებანაც არ აქცევდა ამ ფა-


რული ცხოვრების გაღვიძებას ამ ჩვეულებრივ სიბნელეში; მორეს კლდის ერთ გამოქვაბულში მიძალუდი



ის არ ეძხადებოდა თითონაც, როგორც ეოველთვინ,
 მასში მონაწილეობა მიეღო

იმიტომ კი არა რომ ჰფიქრობდა, ამაღამ ბევრს
 ვერაფერს დავიჭერო, თუძცა მელამ კარგათ იცის, რომ
 ამგვარ საღამოს კურდღლები სავსე ძთვარის შუქით
 მოტეულებული და ქარის გრივლით შეშინებულნი ძა-
 ლიან გვიან გამომვრებიან ხოლმე თავის საროდან;
 არც იმიტომ, რომ თითონაც აფრთხობდა ქარისაგან
 შერხეული ტოტების ლაწა-ლეწი; არა, მელას გამო-
 ცდილი უური მძვენიერთ არჩევს ადამიანის ნაბიჯს
 ტუის ხეების ხმაურობისაგან; ვერც დაღაღვით აინ-
 სნებოდა ეს ხანგრძლივი უმოქმედობა, ეს უხვეულო
 დაფიქრება, რადგანაც მას აქეთ, რაც ამ დილას მო-
 ნადირე ღიზეს ძაღლს, მიროს, აქ დაეძალა, საუცხო-
 ვით დაისვენა; მთელი დღე იძინა; ჯერ მკვდარსავით
 იყო გაშხლართული, მთლათ მოქანცული იმ გიჟური,
 თავდავიწყებული სიზბილით, რომელიც მიროსაგან
 თავის დასახსნელათ დაჭირდა, შერე კი მოხერხებუ-
 ლათ მოგორგალდა და წაწვეტებული ცხვირი უკანა
 თათებზე დაიდო, რომ ეოველივე უსიამოვნო და შე-
 ძაწუსებელი შესება აეცილებინა მისთვის.

ასლა უკანა თათებზე წამომჯდარი, თვალე მ-
 ნაბული, ურეებ აცქვეტილი, ის ერთ ადგილას გა-
 ქვავებულა და მის ტვინში სხვა-და-სხვა მოსაზრება,
 სხვა-და-სხვა წარმოდგენა ერთი მეორეს მოსდევს ზი-
 რუტეუების იღუმალი და უტეუარი შინა-გრძნობის
 კანონების ძალით; და ეს უტეუარი, იღუმალი შინა-




გრძნობა მას ამ პატარა გამოქვაბულში აკავებს, თუცა არავითარი ხელშესახები მიზეზი იქიდან გამომავლას არ უძლის.

ეს მორეს გამოქვაბული გუბილის მუდმივი ბინა არ არის; ეს არის მისთვის ის, რაც ალუა-შემორტყმულთათვის ციხეა, საბოლოო თავშესაფარი, უკანასკნელი იმედი უკიდურესი განსაცდელის დროს.

ამ დილას, ალიონზე, გუბილს ტებილათ ჩასთვლემოდა ხშირ ეკლნარში, სწორეთ იმ ადგილას, სადაც მას ოსტატური კბილის მოქნევით ერთი კურდღლის ბაჭიასათვის სირსიძალი გადაემტვრია და მისი ნორჩი სორციით პირი ჩაეგემრიელებინა.

მონადირე ღიზეს ძაღლის, მიროს, ეყვანმა უცრათ გამოარკვია იგი სასიამო ძილ-ძღვიძრობისაგან, რომელსაც, კარგათ გამაძლარი და გასაფხულის მზის სხივებით, გამობარა, ის ნეტარებით ეძლეოდა.

არე-ძარეს ეველა ძაღლებში, რომლებიც რიგ-რიგათ ნადირობდენ იმაზე, გუბილს მიროსე უარესი მტერი არ ეგულვებოდა; ხანგრძლივ და მწარე გამოცდილებას მისთვის არა ერთხელ დაემტკიცებინა, რომ მიროსთან ეოველივე ემძაობა, ეოველი ხერსი უსაშუალო იყო; ამიტომ როგორც კი მოესმოდა მორიდან მისი ეეფა ან მისი ეეჟნის ეღარუნი, ის მაშინვე გიჟივით გაჭქანდებოდა სოლმე და ღიზეს მოსატყუებლათ, მისთვის კვალის ანახნევათ, მელების წესრიგის წინააღმდეგ, წინააღმდეგ თავისი საკუთარი ჩვეულებისა, შორს, შორს უხვევდა, კურდღელივით



გუზების ზირას გარბოდა, მერე მორეს კლდეებისკენ ბრუნდებოდა, თვალის დასამსამებავსე გადირბუნდა ქვე-
ბით მოკენჭილ მანძილს, რომელიც მის გამოქვა-
ბულთან ავადებოდა, და ელვის სისწრაფით შევარდ-
ბოდა შიგ, დარწმუნებული, რომ მისი თათები ქვე-
სე კვალს არ დასტოვებდენ, და ამიტომ მტერიც მის
ბინას ვერ მიაგნებდა.

მართლაც, ამ გვარ ქცევას ბევრჯელ დაესწნა გუ-
ზილი გასაჭირისაგან და ჯერ არავითარ უსიამოვნო
შემთხვევას არ აეძულებინა იგი სხვა რამ საშუალე-
ბასზე ეფიქრებ; და დღესაც, როგორც სსომის ვე-
ლაფერმა კარგათ ჩაიარა; მაგრამ მანაც მელა მოს-
ვენებული არ არის, რადგანაც ბილიკისაგან ასე ათი-
ოდუ ნახტომის სიძორეზე მან, ერთი დიდი ხის უკან
შიშაღულს, თითქო მიროს ჰატრონს, მონადირე ლი-
ხეს მოჰქვრბ თვალი.

გუზილი მას კარგათ იცნობს; მაგრამ აქამდის
როცა ისინი ერთი მეორეს შესვდებოდენ, ლიხეს თო-
ფი მეხვიით გავარდებოდა და მელა შემინებული შეს-
ტებოდა ხოლმე, მერე კი თითქო ქარი მოჰქვრინო-
ისე გაუხუხუნებდა ურრებთან საფანტი, საფანტი რო-
მელიც სასამტრო სქელ ტყავიანაც კი ტუის დიდ შავ
ეკლებზე უფრო ღრმად ერჭობოდა; ახლა სულ სხვა
ეჟო: ლიხე თითქოს დაინახა, მაგრამ მესის გრია-
ლი არ გაუგონია, არც საფანტი უგრძენია; ამიტომ
დარწმუნებული არაფერში არ არის, მას მხოლოთ
ეჭვი ეპარება, და ეს ეჭვი აღვიძებს მთელ მის არ-



სებაში რაღაც მოუსვენრობას, რაღაც ადელეკებას; ცხად გასაჭირს ვერ ჰხედავს, მაგრამ თავადაფარვის საიდუმლო ხმა აკავებს გუნილს გამოქვაბულში.

დილას რომ შიკ შემოვარდა და ერთ კუნჭულში მიიძალა, რაღაც უჩვეულო ხმაურობა გაიგონა; ეს ხმაურობა შეიძლება მისი თათებით შენძრეული ქვების ხრიალი იყო; მაგრამ ამ ადვილ და სასიამოვნო დასკვნას ის არღვევს, რომ ზედ გასაზვალთან რაღაც უცნაური შენობა მოჩანს, შენობა, რომელიც გუპილს უწინ არაოდეს არ შეუნიშნავს.

არა, გუპილი გრძნობს საფრთხეს. გუპილი ღიზეს ტყვე არის.

II

მელა თითქო უდარდელად გაქვავებულიყო ერთ ადგილას, მაგრამ მისი წინა თათების შეუწყვეტელი თრთოლვა, აცქვეტილი ყურების მოუსვენარი მოძრაობა და შევიწროებული თვალების ელვარება სიბნელეში ცხადათ ამტკიცებდენ, რომ მთელი მისი არსება ცაბოროტებული იყო.

მისმა ღრმა დაფიქრებამ მთელ ღამეს გასტანა; ესეც კია, რომ ჯერ-ჯერობით არაფერი არ აიძულებდა გარეთ გამოსულიყო; მისი კუჭი, საზოგადოთ ხშირად და ხანგრძლივ ძარხულობას შეჩვეული, ახლა დილას შეჭმული კურდღლით იყო დაკმაყოფილებული და ურჩევდა ჯერ კიდევ არ მიეტოვებინა ეს მშვენიერი ბინა, რომელიც ასე კარგათ ჰქმლავდა მას განწირვის წუთებში.

ლამის წევდიადი, რასაკვირველია, მისი მოძნე-
იყო, მაგრამ გუბილი მანც ვერ ჰბედავდა მას მინ-
დობდა და მოთმინებით ელოდა ალიონს; ალიონი
უთუოდ რამე ახალს მოუტანდა, და ეს ახალი, მისი
იქედების გამამტკიცებელი, ან მისი შიშის გამამლიე-
რებელი, უტეუარათ გადააწვევტინებდა რა გზას დად-
გოდობდა.

საათები საათებს მისდევდა. მთვარის შუქი უფრო
და უფრო განათლდა, გაბრწვინდა და შავ ცაზე ხეე-
ბის კიდევ უფრო შავი ტოტები გამოჭსატა; ტოტე-
ბის ბოლოზე, სულ ჰატარა უჩინარ შტოებსზე, ური-
ცხვი და უთვალავი კვირტები გამობერილიყვენ, და
თითქო რაღაც ბურუსათ გადაჭყარებოდენ მთელ ტყეს.

მაშეები, რომლებიც დაბინდებისას ერთი მეორეს
ეჯიბებოდენ და მთელ არე-ძარეს აერუებდენ თავისი
საამური სტვენით, დიდი ხანია მიჩუმებულიყვენ; მხო-
ლოთ ქარი აუჩქარებლათ, მაგრამ დაუღალავათ ჰგრი-
ალებდა ხეებში, და ხან და ხან გაისმობდა იქა-აქ
ბუს ერეუ ძახილი; მიწიდან კი ნელ-ნელა ადიოდა
ზევით რაღაც გამოურკვეველი ოსძივარე, წმინდა და
ძძლავარი, რომელშიაც თითქო მოთავსებული იყო
სხვა და სხვა ტვის ეოველივე სურნელება.

გაამუქა თუ არა ალიონმა აღმოსავლეთი, — მო-
ნადირე გამაჩნდა, და მასთან ერთად მიროც; გუბილს
შემოესმა ძაღლის ცხვირის ფრუტუნის ზედ გამოქვა-
ბულის ნახვრეტთან, და აგრეთვე მონადირის გულ-
მოსული შემოკურთხევა; ძაღლი გრძნობდა, რომ მე-
ლა იქ იყო, მონადირე კი ბრახობდა, რადგანაც კარ-

გათ იცოდნა, რა დიდ ხანს უძლებდენ შიმშილს და ტყვეობას მეღიები, და ისიც, რომ დიდი ხნის შიმშილი და ტანჯვა მთლათ გააფუჭებდა ლამაზ, მოვერცხლილ ტყავს, რომლის გულისთვისაც უდარაჯებდა თავის მსხვერპლს.

გუზილი კი ამ დროს წითელი ენით წაწვეტებულ ცხვირს ილოკავდა და თავის თავს მილოცვას უძღვნიდა, რომ ასეთ უბედურებას გადარჩა, თან გულმოდგინეთ ემსხდებოდა რამე საშუალება გამოენახა, რომ მტრისაგან თავი საბოლოოთ დაესხნა.

საშუალება მხოლოთ ორი იყო; ან უნდა განარეულიყო როგორმე გამოქვაბულიდან, ან და შიმშილის მიუსხედვით დაეღალა მონადირის მოთმინება; ვინ იცის ბოლოს და ბოლოს მონადირე იფიქრებდა, ნამდვილათ გაძექცა ჩემი ტყვეო, და თავის თავათ მოხსნიდა მახეს. ეს მეორე საშუალება მხოლოთ იმ შემთხვევაში იყო გამოსადეგი, თუ პირველი არ ივარცხებდა; და ჯერჯერობით მეღამ პირველს მიძარტა.

რადგანაც გამოქვაბულის ნახვრეტს მახე ჰლობავდა, გუზილმა ცხვირით და თათით დიდი ეურადღებით გაშინჯა თავისი სატუსაღოს დანარჩენი ნაწილები; უკან კლდე იყო, ზევით კლდე იყო, კლდე იყო აგრეთვე მარჯვნივ; ამ მხრით არაფლის იმედი არ უნდა ჰქონოდა; ქვეით, მოშავო მიწასე, მისი ბრჭყალები ღრმა კვალს აჩნევდენ; ხსნა იქნება იქ იყო? და მაშინვე თავგანწირული მხნეობით ის შეუდგა ამ რბილი მიწის თხრას.

მთელი დღე თხარა და საღამოსთვის ნახევარი


არშინის სიდრძე და თავისი ტანის სიგანე ორმო
 ამოთხარა, აქ კი მისი დაღალული თათების ბრჭყა-
 ლები რაღაც ძალიან მაგარს წააწედენ; ქვა, კლდე
 იყო იქაც; გუბილმა ახლა უფრო შორს დაიწყო
 თხრა; იქაც კლდე იყო; იცვალა ადგილი და ისევ
 თხარა და თხარა; მთელი ღამე შეუსვენებლად, დაქინე-
 ბით თხარა იმ იმედით, რომ როგორმე კლდეში
 მხსნელ ნახვრეტს აღმოაჩენდა...

მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა გასავალს,
 ნელ-ნელა, შეუძინევლათ გამოქვამულის ძირი სულ
 ზევით-ზევით იწოდდა და მანით შეღობილ ნახვრეტ-
 თან თავდებოდა; გაფაციცებით მელა ამას ვერ ჰნიშ-
 ნავდა; ის თხრიდა, დაუღალავათ, შეუწყრებლათ სულ
 თხრიდა და თხრიდა...


სამი დღე და სამი ღამე თხარა; სიბრძნით მი-
 წას ჰკებენდა, ბრჭყალები დაიჩლუნვა, კბილები დაიძ-
 ტვრია, ცხვირი დაიბეჭა, გამოქვამულის მიწა მთლათ
 არივ-დარია; შეუწყალებლათ, უცვლელათ, კლდე ვე-
 ლგან თავის გაუვალ ზედაპირს ახვედრებდა; რაც
 ძალი და ღონე ჰქონდა სულ შეაღია საცოდავმა
 ტეკამ ამ თავდავიწყებულ ბრძოლას, მერე კი დაღა-
 ლულობით წელში გაწევეტილი, სიცხისაგან გაბორო-
 ტებული, სასოწარკვეთილი, დამძეული, ის ძვედარსა-
 ვით დაეცა ამონათხარ მიწაზე, დაიძინა, თორმეტი
 გრძელი საათის განმავლობაში იძინა ღრმა ძილით,
 რომელიც უსაშველო დამარცხებას მოჰყვება ხოლმე.

თარგ. ელ. დემოლონ-წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)



უმაწვლელობ! დააცქერდით ამ სურათს და დამიწერეთ
 ამაზე პატარა ამბავი; ვისიც დასაბეჭდათ გამოდგება, საჩუქრათ
 მიეცემა აკაკი წერეთლის სურათი.



ახსნა გამოცანებას. (დაბეჭდილი მარტის ნომერში)

1) ნამგალი. 2) თოვლი. 3) აზარფეშა.



გაზაფხული.



გაზაფხულისა ჰირიმე,
რა ტურთა, მომხიბლავია;
ლაჟვარდი ცისა კამარა
ქათქათებს, მობრწყინავია.

* *

აქ ველი მწვანე თექას შლის,
იქ ჯუბას იცვამს კორღია,
ვითარცა ვერცხლის ღიღები
ზედ კრთის ენძეღა და ია.

* *

სალ-კლდის ნაჟური ნაკადი
ჩუხჩუხით მოედინება
და მოხასხასე ჯეჯიღოსა
შხეფებით მოეფინება!

* *

ზამთრისგან შეწუხებულნი
სირნი სწყვეტავენ ჩივილსა
და ცელქ ნიავის ქროლასა
აქს ავენ თივილ-ხივილსა.

* *

ჰირიმე გაზაფხულისა,
ათასფრად მოქარგულია,
ბუნების ტურთა წიადში
მეჯლისი გამარ თულია!

დ. თურდოსპირელი.



ჩვენი მოღვაწენი და მწერლები



დავით გურამიშვილი.

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“, —
სწერს დავით გურამიშვილი.

„ისმინე სწავლის მძებნელო!
მოჰყევე დავითის მცნებასა.
ჯერ მწარე ჭამე; კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა!“ —

ურჩევს ყრმებს დავით გურამიშვილია.

„სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების“.

«სწავლაზე ურჩი და მორცხვი
თვალით არ დასანახია».

„სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელის შვილის ყოლასა“...



სხვა მრავალი ამგვარი მარგალიტები და ბრძნული თქმულებები მრავლად არიან გაფანტულნი დავით გურამიშვილის მშვენიერ ლექსთა კრებულში, რომელსაც სახელად „დავითიანი“ ეწოდება.

დავით გურამიშვილი მეთერთმეტე საუკუნის პოეტია. დანამდვილებით არ ვიცით როდის დაიბადა. ერთს ლექსში, რომელიც დაწერილია 1774 წ., იგი თავის თავს გვაცნობს 69 წლის მოხუცად; ამის მიხედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი 1705 წელს უნდა იყოს დაბადებული. პოეტი უსწავ-




ლელი კაცი იყო; თვითონ აპობს ერთ თავის ლექსში, რომ

აქა-იქ წანწალით ან-ბანის მეტი ვერა ვისწავლე-რაო. პატრონი არავინ ჰყოლია, რომ ესწავლებია რამე; პროფ. ხახანაშვილი ამბობს, რომ იგი გაუზრდია უსწავლელ ძიძას და თვითონაც უსწავლელი დარჩენილაო.

მთელი თავისი სიყმაწვილე მგოსანს ტანჯვა-ვაებაში გაუტარებია. მისი ლექსებიდან სჩანს, რომ მას ბევრი რამ ისეთი გადაჰხედია თავს სიყმაწვილეში, რაიც სხვებისთვის აუტანელი იქნებოდა. მაგრამ მგოსანს ყოველივე სატანჯველი დაუძლე-ვია და გადარჩენია სიკვდილს.

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს მტერი მუსრს ავლებდა. ლეკები თავს ესხმოდნენ და ყველაფერს ანადგურებდნენ. ლეკები უშთავრესად დაუძინებელი მტრები იყვენ წიგნებისა, ხშირ ბრძოლისა და ომიანობის გამო !9 წლის მგოსანი სოფ. ლამისყანას, თავის ნათესავებთან იყო შეხიზნული. აქ ერთ დღით, მკის დროს, იგი გლახებს თავს დასტრიალებდა იარაღ-აყრილი, ცოტა ხნით გლახებს განშორდა და იქვე ახლოს წყაროსაკენ გაემართა წყლის დასაღევათ. ტყეში თუთხმე-ტიოდღე ლეკები ყოფილან ჩასაფრებულნი; დაინახეს იარაღ-აყრილი მგოსანი, მიეპარნენ და დაიჭირეს. დადესტანამდის ფეხით ჩაიყვანეს, ორმოში ჩასვეს, არც საქმელი მიაკარეს და არც სასმელი, სტანჯავდნენ. აქ მგოსანი ჰგოდებს და მოსთქვამს, რომ დაჰპარვა დედ-მამა, დები, ძმები და ნათესავები. ლეკებმა მას გაყიდვა მოუწოდომეს; ამან უფრო ააშფოთა მგოსანი და გაპარვა გააბედვინა. პირველად გაუგეს და ბევრიც სცემეს, მაგრამ მან მეორეჯერ მოახერხა გაპარვა. თვითონ ამბობს, — მესმა ხმა ძილში და მეც მივენდე „მზეს და შვიდს ვარსკვლავებს“ და იმათი შემწეობით გავიკვლიე გზაო. მგოსანმა დალისტნის ტიტველ მთებზე მრავალი ტანჯვა გამოიარა. შიმშილი, წყურვილი, ელვა და ქექა-ქუხილი, ქარი. თითქმის შიშველ პოეტს ბევრ ვაგლახში ავდებდა. დღისით ყოველთვის ჯანარში იმალებოდა, მხოლოდ ღამით შეეძლო სიარული. ბოლოს ტანისამოსი სულ ერთიან შემოეფლეთა, შიმშილმა დააუძლოურა.

მაგრამ ბედმა სულ ერთიან არ ააღო მგოსანს ხელი. მან დაინახა ბალი და შიმშილი იქაურ ვენახის მტყენით მოიკლა.



იქვე მოესმა ზარის ხმა; მგოსანმა ეკკლესია დაინახა... გაოცდა, მოჩვენება ეგონა. როდესაც დაინახა, რომ მლოცველები პირ ჯვარს იწერენ, გაბედა მათთან მისვლა, ჯვარს ემთხვია. ისინი რუსები აღმოჩნდნენ; მათაც მიიღეს, ჩააცვეს, პური აჭამეს და, რადგან მოისურვა, სოლალს გაისტუმრეს. იქამ დროს ქართველების ჯარი იდგა. ზოგ წინამძღოლთა დახმარებით აქედან ასტრახანს გაემგზავრა მეფე ვახტანგის სანახავად. მეფე არ დაუხვდა, მოსკოვს წასულიყო. მაშინ დავით გურამიშვილმა მოსკოვს მიაშურა და ვახტანგ მეფეც ნახა. მეფემ სიამოვნებით მიიღო, უბოძა მგოსანს ჯაბადარ-ბაშობა*) და დააყენა თავის სასახლეში, თავის კრებულში ჩარიცხა.

რუსები იმ დროს ქართველებს ძალიან სწყალობდნენ. რუს დედოფლის ანნა იოანოვნას ბრძანებით ქართველ წარჩინებულ პირებს დაურიგდათ მამულები. ჩვენს პოეტს დაე გურამიშვილს, როგორც მეფესთან მყოფ წარჩინებულ პირს, ებოძა მამული და ყმები ში სული მირგოროდში. ყირიმის, ოჩაკოვის და შვიდწლოვანს ომებში, რომელიც იმ ხანებში მოხდა, ქართველი ჯარიც იღებდა მონაწილეობას და რუსებთან ერთად თავგამოდებით ომობდა. მგოსანი დ. გურამიშვილი ამ ომებში მონაწილეობას იღებდა; იგი ტყვეთ ჩაუვარდა მტრებს, მალე გამოისყიდეს და დააბრუნეს მალგოროსიაში. აქ მგოსანი საგონებელში ჩავარდა, რადგან საცხოვრებელი დაეკარგა და ისევ ძველებურ გატანჯებულ ცხოვრებას დაუბრუნდა. პოეტი დასახლდა მალგოროსიაში, მაგრამ ბედის კმაყოფილი მაინც არ ყოფილა — „ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერ მრგებს, რადგან ძალაუნებურად წამიყვანეს იქ, სადაც თვითონ წასვლა არ მწადლო და ვამე, ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდიო“.

მგოსანმა სიბერის დროს მრავალი ლექსები დასწერა. მაშინ მოცალეობაც ჰქონდა, რადგან სადაც მსახურებდა, ის ჯარი, უკვე დასტოვა. ნიჭიერად არის დაწერილი ლექსი „სიკვდილის და კაცის შელაპარაკება და ცილობა“. ეს ლექსი მშვენიერი, მდიდარი ენით არის შეთხზული.

როდესაც კითხულობთ ლექსს, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა“, — ფილოსოფოსის დაწერილი გგონი-

*) ჯაბადარ-ბაში ნიშნავს არტილერიის უფროსს.

ათ. მგოსანი, როგორც ზევით მოვიხსენიე, უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე ფრიალ ბრძენი და ტანჯვა-ვაების ნაცადი. ამიტომ მისი ლექსები ბრძნულ აზრებით სავსეა. ამასთანავე ყველა მისს ლექსებში წრფელი გრძნობა გამოსკვივის, რადგან მას ეხერხება მუხანათ ბედის დახასიათება.

მგოსანი თავის საყვარელ სამშობლოს არ იფიწყებს; უცხოეთში მყოფს ღრმად აწევს გულზე სამშობლოს სევდა. მრავალ ლექსებში მოსთქვამს მგოსანი, — მწყურია მშობლიური ქერი, სამშობლოს მზე და ჰაერიო; ჰგოდებს, რომ მოშორებულია მშობლებს, ნათესავებს, ოჯახს და მამულს.

მისი წიგნის „დავითიანის“ პირველი ნაწილი შეიცავს მეთვრამეტე საუკუნის დასურათებას; დასურათებას იმ დროისას, როდესაც ქართლ-კახეთი ერთმანერთს გადაეკიდა და მათ შორის შური და მტრობა გამეფდა. ამ გადაკიდებას მტრის გაძლიერება ეძღვნება და საქართველოც მრავალ ნაწილებად დაიყო. გურამიშვილი ამ უკუღმართ დროს დასტირის. მისი აზრით საქირია გაერთიანება, რომ მტერს უფრო გაუქლავდენ და თავიანთი მიწა-წყალი შერჩეთ. ამგვარად მგოსანი და გურამიშვილი საქართველოს გაერთიანების და მთლიანად შენახვის მქადაგებელი გახდა.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მგოსანი ერის ზნეობრივად დაცემას. ღმერთი, მამული და მეფე ხალხს გადაავიწყდა; გამეფთა შური და მტრობა. ავაზაკობას, ქურდობას, პირის გატეხას, ქვრივ-ობოლთა შეურაცხებას უპირველესი ადგილი ჰქონდა დათმობილი ერის ცხოვრებაში. მგოსანი, მამულის სიყვარულით განმსჭვალული, ჰგოდებს და მოსთქვამს ამ გვარ უკუღმართ დროის მოვლინების გამო.

მეორე ნაწილი „დავითიანისა“ შეიცავს დიდ ლექსს, ანუ პოემას, რომელსაც ჰქვია „ქაცვია მწყემსი“. ქაცვია მწყემსი თავდაჭერილი ადამიანია, იგი გარყვნილების წინააღმდეგია; მარტოკა ვნებათა ღელვას არ ემორჩილება, იგი გონებასაც ამუშავებს, ჰკუთით იქცევა. მაშინდელი დრო გარყვნილების დრო იყო, არა მარტო ჩვენში, სხვაგანაც. „ქაცვია მწყემსში“ დავით გურამიშვილმა დაჰგმო ყველა ისინი, ვინც მხოლოდ გარყვნილებას მისცემია და კეთილი გზა დაუკარგავს.




მგოსანმა დ. გურამიშვილმა თავის ნაწერებში ხალხური კილო შეიტანა; ეს უმთავრესად „ქაცვია მწყემსში“ მოსჩანს. ეს პოემა დაწერილია მღაბიო, სასაუბრო ენით. საერთოდ ყველა მისი ლექსები მშვენიერი, ფაქიზი ქართული ენით არის დაწერილი; ყველა ლექსებში წრფელი გრძობაა ჩაქსოვილი და ღრმა აზრებია გატარებული. ასე რომ მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენმა პოეზიამ დ. გურამიშვილის ნიჭის წყალობით დიდი წინსვლა განიცადა.

პოეტი დიდ სიღარიბეში გარდაიცვალა. გარდაცვალების დრო დანამდვილებით არავინ იცის. არც ის იციან, თუ სად არის დამარხული. პროფ. ხახანაშვილი ამბობს: შესაძლოა დაკრძალული იყვეს ახტუბის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ხარკოვის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიების საზღვარზე.

ასეთი იყო მგოსნის დ. გურამიშვილის ცხოვრება. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მას დიდი და სამნიშვნელო ადგილი აქვს დათმობილი. იგი დიდი მგოსანია და ამიტომ საჭიროა ყოველმა ქართველმა ყურადღებით გადაიკითხოს მისი მშვენიერი ლექსთა კრებული „ღავითიანი“.


ლადო გიგეჭკორი.



ჯეკი.

ცეცხლის მჩრობელი ჩაუშის ქაღლი.

IV.



ბავშვები რომ ეტლით გაემგზავ-
რნენ, როგორც წინათ ვსთქვით,
ჯეკი მზეზე წამოწვა, რომ გა-
მგელ-გამომგლელი დაენახა.

რასაკვირველია ჯეკისთვის ყვე-
ლაზე უფრო სოფლის ძაღლების
დანახვა იყო სასიამოვნო. ისინი
ურმებს მოჰყვებოდნენ ხოლმე.

კი მუშა ძაღლი იყო, — მას ქალაქში
წანწალის დრო, აბა, სადა ჰქონდა!

სოფლის ძაღლები კი ისე უთავბოლოდ არ დაწანწალებდნენ:
ისინი სოფლის ამბებს უამბობდნენ და, ამას როგორც ქალაქ-
ში მცხოვრებს, იამებოდა ხოლმე.

აი, ურემს ერთი კეთილი შეხედულების ძაღლი მოსდევს.
ის რამოდენიმე წამით ჯეკთან სალაპარაკოთ შესდგა. სოფლის
ამბავი უამბო. პირველი ახალი ამბავი ის იყო, რომ ქათმები
თავის პატრონებს აუჯანყდნენ და კვერცხს აღარ სდებენ, სა-
ნამ კარგ, თბილ საქათმეს არ გაუმართავენ!

— მაშ, — სთქვა ჯეკმა, — იმიტომაც ქალაქში კვერცხი ასე
გაძვირდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც ამბავი იყო.
ქათმები მართლები არიან და უეჭველია თავისას გაიტანენ.

— მეორე ახალი ამბავი, — სთქვა სოფლის ძაღლმა, — ერთ-
თი ჩემი მეზობელი ძაღლი დაიკარგა. ის პატარა, შავი ცხვი-
რიანი ძაღლია, სახელათ ტობი ჰქვია. წასულ კვირას შეშის
ურემს წამოჰყვა და აღარ დაბრუნებულა. თუ ვინციკობაა სად-
მე შეგხვდეს, შეგვატყობინე. აქ, ამ დიდ ქალაქში, სოფლის
ძაღლს გზა აღვილად დაეზნევა.

— კარგი! — შენ იხახი: — ყვათელი და შავი ცხვირი აქვს
და ტობი ჰქვია, — ხელ-მეორედ გამოჰკითხა ჯეკმა, — რომ შემ-
ხედეს, რა უთხრა?



— აქ შენთან შეინახე მომავალ კვირამდის, იმ დროისთვის მე მოვალ, ან უთხარი, რომ თუ კი ვხას გაიგნებს, სოფელში დაბრუნდეს!—ამ სიტყვებზე ძალღი გაექანა, რომ ურემს დასწვოდა.

ერთ ხანს ქუჩაში ყველაფერი მიწყნარდა, ჯეკი წამოწვა და სთვლემდა, ცალი თვალი მაინც ღია ჰქონდა. უცბად თვალები გააჭყიტა. იმას მთელი გროვა ბავშვებისა მოუახლოვდა. მათ თოკზე მობმული პატარა ძაღლიც თან მოჰყავდათ. ბავშვებს ცივი ღლის შესაფერათ არ ეცვათ, მაგრამ ძალიან მზიარულათ კი იყვნენ.

— ნეტაი ეს ბავშვები სად მინახავს?—სცდილობდა მოეგონებინა ჯეკს.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ წინათ მინახავს ისინი, მაგრამ არ ვიცი სად, ან როდის?—ჰო, მომაგონდა,—უცბათ წამოიყვრა ჯეკმა, —როცა ჩვენ ცეცხლიდან ბრმა გამოვათრეთ, ესენიც იქ ხალხში იდგნენ, უთუოდ იმ დამწვარი სახლის მდგმურები არიან. შეხედა იმ ძაღლსაც, რომელიც ბავშვებს მოჰყავდათ.

— ყვითელი ძაღლი, შავ-ცხვირიანი, სახელათ ტობი. განა წარმოიდგენდა ჯეკი, რომ ასე მალე შეგხვდებოდა!

კუდი აიწია, ყურები გაიკქვიტა და ძაღლს მიუახლოვდა, პატარა ძაღლმა კუდი, ჩამოუშვა და ჯეკს მორცხვად შეხედა.

— შენ ხარ ტობი?

— ჰო, მე ვარ, —უპასუხა ტობიმ, —შენ ვინა ხარ, საიდან მიცნობ? ჯეკმა ძაღლი დასუნა, უნდოდა ძაღლის ნდობა დაემსახურებინა.

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე შეგხვდებოდი;—სახლში წასვლა გინდა?

— როგორ არ მინდა, —უპასუხა მან, —ვიწანწალებ, ვიწანწალებ, მთელი ქალაქი შემოვირბინე და ბოლოს კი დამაბეს და ერთ საძაგელ საკუქნაოში შემაგდეს.

— რატომ არ გაიკცევი?—ჰკითხა ჯეკმა.

— შენ აგრე ადვილათ იძახი, —უპასუხა ტობიმ, —განა არ იცი რომ ამისთანა დიდ ქალაქში სოფლის ძაღლისთვის რა ძნელია გზის გაკვლევა! კეთილი ბავშვები არიან, მეშინია; ამათ რომ გამოვექცე და ჩემ სახლს ველარ მივაგნო, მაშინ რაღა ვქნა?



— მაგ შენ საყულოდან შეგიძლია თავი გაინთავისუფლო?

— სხვა დროს მომიხერხებია ხოლმე, მაგრამ ეს ძალიან მიჭერს, — უპასუხა ტობიმ.

— მეგობარო, მე ვხედავ, რომ შენ კარგად ვერ გაუზღინხარო. ძალიან სასარგებლო იქნება შენთვის ცოტაოდენი დარიგება, რომელიც მე ბუღდოგმა ბოქსერმა მასწავლა. ის რანაირი საყულოც უნდა იყოს, თავს გაინთავისუფლებს.

— გთხოვ მიაშბო, ძალიან მადლობელი ვიქნები, — უპასუხა ტობიმ.

— კარგი. პირველათ უკან დაიხიე, სანამ თოკი გავუშვებს, მერე ნიკაპი მალლა აიღე, თავი ატრიალე და უკან უკან იწიე. თუ საყულო ძალიან გიჭერს, მაშინ ზურგზე წამოწეკი, ცხვირი რაც შეიძლება მალლა ასწიე და წინა ფეხებით მაგრად საყულოს მიეხიე. ასე მოიქეცი და უეჭველია თავს გაინთავისუფლებ. რანაირი საყულოც უნდა გამოიგონონ, ძაღლს მაინც ვერ დაიმაგრებენ.

— ვშინჯავ, — სთქვა ტობიმ, — მე ძალიან მინდა იმ ძაღლს ბოქსერს გავეცნო, — უთუოდ საკვირველი ძაღლი უნდა იყოს.

— რასაკვირველია, — უპასუხა ჯეკმა, — დიდის სიამოვნებით გავაცნობდი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მე იმასთან უბრათა ვარ, არ ველაპარაკები. ის ძალიან კარგი ძაღლია, მაგრამ შურიანია, მე განსაკუთრებულ გარემოებაში ვცხოვრობ, იმიტომ რომ ცეცხლის მქრობელ მანქანას ვახლავარ და ცეცხლის ქრობაშიაც მონაწილეობას ვიღებ. ბოქსერი გრძნობს, რომ იმასაც შეეძლო ჩემსავით მუშაობა და შემთხვევა არა აქვს; მერე ჰგონია, რომ ჩემის მოვალეობით ვამაყობ და თავი მალლა მომაქვს. რასაკვირველია, რომ ეს სისულელეა, მაგრამ იმას ვერასგზით ვერ დაარწმუნებ. მე მგონია, რომ ის ცეცხლის მქრობელ მანქანასთან რომ იყოს, თავის მოვალეობას ჩემზე უკეთესათ თუ არა, უარესად არ შეასრულებდა. ის ღონიერია, უშიშარი და ცეცხლი არაფრათ მიაჩნია.

სანამ ძაღლები ერთმანერთს ებაასებოდნენ, ბავშვები კარებში — საცა მანქანა იდგა — იყურებოდნენ და აღტაცებაში მოდიოდნენ. შემდეგ ჯეკს მოუალერესეს; ტობი თოკით გას-

წიეს სახლში წასასვლელად. ტობი ახალ მეგობარს გამოეთხოვა და სახლისაკენ გასწია, უკან აღარც კი მოუხედნია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეტილიც გამოჩნდა და ჯეკთან გაჩერდა. ბილლის ჯეკის დანახვა ისე გაეხარდა, რომ მოეფერა. ჯეკიც აღტაცებით ბავშვს თათებით კისერზე მოეხვია და ტუჩები მოულოკა. ბილლი და ჯეკი სახლში შევიდნენ, ლედველი და სამა ქალაქისაკენ გაემგზავრნენ, საყიდლები ჰქონდათ.

ჯერ ტკბილეულობის დუქანში შევიდნენ. სარკმელთან მთელი გროვა ბავშვები პატარა, თეთრი შავ ცხვირიანი ძაღლით იდგნენ, ბავშვები ხარბათ შესცქეროდნენ სარკმელს, საცა გემრიელი პურები, ხაჭაპურები და შაქრის პურები იყო დალაგებული.

პაპა ბავშვებს მიუახლოვდა.

— ბატონო, — მოისმა სულ პატარა ქალის წრიპინა, მორცხვი ხმა. — ერთი გროში მაჩუქე, საქმელი მინდა ვიყიდო. — ბავშვს შერცხვა და გაჩუმდა.

— რას 'შერცხვი მერი' როგორ ბედავ თხოვნას, მათხოვარი ხომ არა ხარ, — უთხრა პატარა ბიჭმა, რომელსაც ძაღლი ეჭირა.

— რას იყიდი, რა გინდა? — ჰკითხა ბატ. ლედველმა.

— შაქრის პურები, — უპასუხა ჩუმით ქალმა.

— აბა, ამოარჩიე, რომელი უფრო მოგწონს? — ჰკითხა ბატ. ლედველმა.

მერის დიდი ხანია თავის საყვარელი შაქრის პურები კიდევცა ჰქონდა ამორჩეული და მაშინათვე ნუშის შაქრის პურებზე მიუთითა.

— აი ესა, სთქვა მან გადაწყვეტით.

— როგორ გგონია, მთელ შაქრის პურს მოერევი და შესჯამ? — ჰკითხა ლედველმა.

— რასაკვირველია!

— ორს? — ჰკითხა პაპამ.

— რატომ არა! — სწრაფათ უპასუხა მერიმ.

— სამსაც მოერევი?

— სამსაც!

— ოთხსაც შესჯამდი? — გააგრძელა გამოცდა ლედველმა.

— ოთხს? — გამოჰკითხა მერიმ და ჩაფიქრდა. — უნდა ვზინჯო, — სთქვა მან.

— აქ მომიცადე და ვნახოთ, — უთხრა ლედველმა და დუქანში შევიდა.

ბავშვები სარკმელთან იდგნენ და ხედავდნენ, როგორ გამყიდველი ქალი დიდ ქალაღლის პარკს ფერად ფერად შაქრის პურებით ავსებდა და ყველაზე უფრო მეტს იმას აწყობდა, რაზედაც მერიმ მიუთითა.

ლედველი ათვლიერებდა, რა აღტაცებით და სიამოვნებით შესტკეროდნენ ბავშვები, ძალლიც კი უკანა ფეხებზე დამდგარიყო. მერე შეხედა ეტლს, სადაც სამა მოუსვენრად იჯდა და მოელოდა, თუ რა სიამოვნებას უმზადებს პაპა ბავშვებს.

— აი, ჩემო კარგო, ააღე ეს, — უთხრა ლედველმა, როდესაც დუქნიდამ გამოვიდა და ერთი დიდი ქალაღლის პარკი საესე მერის გადასცა, — მითხარი, აბა, რას უხამ ამ შაქრის პურებს?

— ჩვენ თანასწორათ გავიყოფთ! — უპასუხა პატარა ქალმა.

— ძალღსაც ვაჭმევთ, დაუმატა პატარა ბიჭმა, რადგან ესეც ჩვენთან არის.

— რასაკვირველია, ჯონ, ძალღსაც მივცემთ, — დაუმატა მერიმ.

— დედას! — სთქვა უფროსმა დამ.


— მაშ, დედასაც წაუღოთ, — დაეთანხმა მერი, — წავიდეთ რაღა!

სავსე პარკი მაგრად გულში ჩაიკრეს და სირბილ-სირბილით სახღისკენ გაემართნენ.

V.

მერი თავის საგზლით ისე გადარბოდა ქუჩებზე, რომ არც გაჭენებულ ეტღებისა და არც აუარებელი ხაღხისა არ ერიღებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ არ გაჭეჭყეს. და, ძმა და ტობი უკან მისღევდნენ.

— მოიცადე! — უყვიროდა ჯონი, რომელღსაც ძალღი ხელში აყვანიღი მიჰყავდა.



— მოიცადე, ჩვენც გვაქამე, მარტო შენი ხომ არ არის?

— პატარა მოშორებით წავიდეთ, — ყვიროდა მერი და იქ გავიყოთ.

ბოლოს ერთ ვიწრო ბნელ ქუჩაში შევიდნენ, სადაც პატარა, ღარიბი სახლები იყო. ერთ სახლთან მერი გაჩერდა. ერთი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და პარკი გახსნა; მარჯვნივ ჯონი და ტობი მოუსხდნენ და მარცხნივ და ენნი. ყველანი პარკს ჩასცქეროდნენ და გემრიელი შაქრის პურიით სიამოვნებდნენ.

— ძაღლსაც უნდა თავისი წილი, — სთქვა ჯონმა, — როცა ნახა, რომ მერი სამ ნაწილათა ჰყოფდა.

— ყველა ჩვენგანმა თავის წილიდამ ძაღლს აქამოს, — სთქვა მერიმ და ერთი დიდი ნაჭერი თავის შაქრის პურიდამ მოუტება და ტობის მისცა.

— არა, შენ ხომ დასთანხმდი, რომ ტობსაც თავისი წილი უნდა გამოეყოს!

— კარგი, — დასთანხმდა მერი და ოთხ ნაწილად გაჰყო და ტობის ერთი დიდი შაქრის პური წინ დაუდო. იმან უცბათ გადაყლაპა და მერე ნამცეცების ლოკვა დაიწყო.

— ტობი ისე მალე სჭამს, რომ გემოს ვერც კი იგრძნობს, — სთქვა მერიმ.

ტობი-კი ცდილობდა აეხსნა, რომ ბავშვები შემცდარი არიან, რომ ძაღლები დიდის ხნის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ, როდესაც ისინი საქმელს ჩქარა ყლაპავენ, უფრო გემრიელია, ვიდრე ნელ—ნელა დაღეჭვა. ყველა ძაღლი, ვისაც კი საქმლის გემო ესმის, ასე სჭამს. ის ჰყეფდა, მაგრამ ბავშვებს იმისი ენა არ ესმოდათ და ასე ეგონათ, რომ კიდევ თხოულობს.

— მოიცა, შეორის ჭამას რომ დავიწყებთ, შენც მოგცემთ, — უთხრა ჯონმა და თავის წილიდამ ერთი ნაჭერი მოუტება და გადუფლო.

ბოლოს შაქრის პურის გაყოფაც გაათავეს, ყველა ნაირი დამ თითო-თითო დასტოვეს, ისევ ქალაქში შეახვიეს და დედას წაუდეს.

იმ სახლში, სადა ბავშვები იდგნენ, ყველა სადგომს თა-

ვისი პატარა საკუქნაოც ჰქონდა. ერთ საკუქნაოში ტობის თავის საწოლი მოუწყეს. მართალია, აქ ძალიან ციოდა, მაგრამ გარეთ ყოფნას მაინცა სჯობდა. ტობი სოფელში იყო გაზდილი და სიცივისა არ ეშინოდა.

— დღეს საკუქნაოში ძალიან ცივა, — სთქვა ჯონმა. საკუქნაოს კარები არ იკეტებოდა და ყოველ მხრიდან ქარი ღებრავდა.

— უყურე, საწყალი, როგორ კანკალებს, — სთქვა ენნიმ და ტობიზე მიუთითა, — მოდი დედას ვსთხოვოთ, იქნება ნება მოგვცეს ოთახში დავაბინავოთ.

— არა მგონია, — სთქვა ჯონმა, — გახსოვს ამას წინათ ძაღლის შენახვის ნება არ მოგვცა, ბევრი ჭამა უნდაო.

— მაინც ვშინჯოთ, — იმეორებდა ენნი, — ამდამ უთუოდ ძალიან ეცივება. მერიმ სთხოვოს, ამას უფრო აუსრულებენ.

მართალი იყო, მერი ყველაზე უმცროსი იყო და ცოტათი ანახებდნენ. ამასთანავე სუსტი ბავშვი იყო და ხშირად ავადმყოფობდა და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ.

ბავშვები სახლში შევიდნენ. ცოტა ხანს კარებთან კიდევ თათბირობდნენ.

— გესმის, მერი, — ეჩურჩულებოდა ჯონი: — შენ ჯერ შაქრის პური მიეცი დედას და მერე ძაღლის შესახებ სთხოვე, გული უფრო დაურბილდება.

— რასაკვირველია, უბასუხა მერიმ, — განა მე თითონ არ ვიცი?

როდესაც ოთახში შევიდნენ, ვახშამი კიდევ მზად იყო და მაგიდაზე ელაგა. დედა-კი გაჩქარებული საკვრავ მაშინაზე ჰკერავდა. მამა ჯერ არ მოსულოიყო, ის ქარხანაში მუშაობდა და დღე და ღამ სულ იქ იყო. ბავშვები მამას იშვიათათ ხედავდნენ.

დედამ საქმიდამ თავ აულებლივ ბავშვებს გადახედა. ნამეტან შრომას და მძიმე მუშაობას ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი დაეჰქნო და დაებერებინა. ბავშვების დანახვაზე სახე გაუბრწყინდა.

— მე ვწუხდი, ხომ არაფერი არ შეგემთხვათ, — ასე რისთვის დაიგვიანეთ?



— ჯერ სახლი ვერ ვიპოვნეთ, — უპასუხა ენნიმ, — როდესაც მივაგენით, მოგვაცდევინეს, მანამ იმ ქალმა საკერავი დაათვალიერა და გაიშინჯა. მერე გამოვიდა და გვითხრა, რომ ამ დღეებში საკერავს კიდევ გამოგიგზავნის.

— მერე, ტკბილეულობის დუქანთან გავჩერდით და შაქრის პურებს ვათვალიერებდით. . . რომ იცოდე დედა, რა გემრიელია. მერე ჩემთან ერთი კაცი მოვიდა და მკითხა, შაქრის პური გინდაო? მეც უპასუხე, — დიდის სიამოვნებით შევექამ. შევიდა დუქანში და ერთი დიდი პარკი სავსე ფერად-ფერადი შაქრის პური გვითავაზა. — შენც მოგიტანეთ! — სთქვა მერიმ და დედას ქალაქში შეხვეული შაქრის პურები გადასცა.

— შენ ხომ პირველად არა სთხოვე? — უთხრა დედამ.

— არა, არა — მორცხვათ სთქვა მერიმ. — მე შაქრის პურის მოცემა არ მითხოვნია, ხომ მართალია? — ეიმართა სხვა ბავშვებს.

— ეგ მართალია, — სთქვა ენნიმ, — შენ ფული სთხოვე და როცა იმან გკითხა, რად გინდაო, შაქრის პურს ვიყიდო, უპასუხე.

— აი, აი! — თავი გაიქნია დედამ, — ეგ ხომ საძაგლობაა მერი, მათხოვრობაა. იმ კაცს უთუოდ მათხოვარი ეგონე!

— მაშ, რა მექნა, როდესაც ისე ძალიან მინდოდა შაქრის პური, — სთქვა მერიმ და ტირილი დაიწყო, — ისე გემრიელიათ ელაგა! — ქვითინებდა მერი, — იმას შეეძლო ერთი შაქრის პური მოეცა, ამდენი რათ მომცა! ეს იმის ბრალია!

— კარგი, ჩემო პატარავ, — უთხრა დედამ, — მე მესმის, რომ თავი ვერ შეიმაგრე და შესცდი, მეორეჯერ აღარ გაბედო!

— არა, დედა, არას დროს აღარ ვითხოვ! — იძახდა მერი და თან და-თან წყნარდებოდა.

ჯონი კი ბუნხართან იდგა და ზურგს უკან ძაღლს მალავდა. მაგრამ ეს ძაღლიან ძნელი იყო. ტობი საშინელი მოუსვენარი იყო, სულ ტრიალებდა, იატაკის ფხაქნა რომ დაეწყო, დედა ყველაფერს შეიტყობდა. ჯონი მერის თვალით ანიშნებდა, რომ ლაპარაკი ჩამოეგდო, ბოლოს მერიმ დაიწყო:

— დედა, დედილო, ჩვენ გზაში ძაღლი ვიპოვნეთ, პატრო.

ნებს ასცილებოდა. ისეთი მშვიერია და სცივა საწყალს. ჩემო დედილო, შეიძლება ჩვენსა შევინახოთ?!

— არა, გადაწყვეტით უთხრა დედამ, — არა, ადგილი არა გვაქვს, რომ შევინახოთ! მერე ძაღლები ბევრსა სჭამენ და მოვლაც უნდათ. — არა, არ შეიძლება!

— ისეთი პატარაა, აბა, საიმისო რა უნდა სჭამოს! ჩვენ ყველანი ჩვენ წილს გაუნაწილებთ. შენ თითონ ნახავ, რომ არაფერს არ გვავენებს დედი, ჩემო საყვარელო, სთქვი ჰო! — უფრო ალერსით ემუდარებოდა მერი.

— არა, მამა გაჯავრდება; ხომ იცით, რომ იმას ძაღლები ეჯავრება!

— ჩვენ ისე დავმალავთ, რომ მამამ ვერც-კი შეიტყოს, — სთხოვდა მერი, — ის მე გამართობს ხოლმე, როცა ავად გავბდები, ყველანი სკოლაში წავლენ და ის კი ჩემთან დარჩება.

დედა ჩაფიქრდა და მოაგონდა ის დრო, როდესაც საწყალი ბავში ავადმყოფი მარტოდ-მარტო იწვა ხოლმე და ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. ცოტათი მორბილდა. მართლაც ძაღლი გაართობდა. იმის რჩენას ბევრი არაფერი მოუხდებოდა. მარტო ის აწუხებს, მამა რას იტყვისო!

ბავშვები პასუხს მოუთმენლად მოელოდნენ; გრძნობდნენ, რომ დედა მორბილდა და იმედი მიეცათ. ძაღლმაც იგრძნო, რომ საქმე კარგათ ბოლოვდება. თავის საფარავიდან გამოვარდა და წრიბინი დაიწყო.

— ღმერთო, შენ შემიწყალე! — დაიყვირა დედამ, — თქვენ კიდევ მოგიყვანიათ!

ტობი ისეთი პატარა და გამხდარი იყო, რომ დედას გული მოუღბა.

— ოჰ, შე საცოდავო! — სთქვა მან ალერსით და ტობის ხელი გადაუსვა, — კარგი, დარჩი, იქნება საქმელი შენთვისაც გვეყოს!

— ჩვენ აგერ ერთი კვირაა საკუჭნაოში გვყავს დაბმული, — სთქვა თამბად ჯონმა, — სულ ცოტასა სჭამს. მე ჩემს წილს სულ არ შევჭამ და იმას გაუნაწილებ.

ასე გარდაწყდა ტობის ბედი. ვახშამიც არგუნეს. შაქ-

რის პური, რომელიც დედამ სულ ვერ შექამა და ისევ შვილებს დაურიგა, ტობისაც ერგო.

ყველაზე უფრო ძნელი საკითხი ის იყო, თუ ძაღლი სად დააწვინონ; საკუჭნაოზე აღარ ფიქრობდნენ... ბოლოს დედამ ნება დართო, რომ ტობი ჯონის ფეხქვეშ დაიძინებდა.

ჯონის ოთახი პატარა იყო და ამასთანავე ბნელი, მაგრამ ტობის დიდ სასახლეთ ეჩვენა ცივ საკუჭნაოსთან შედარებით. პატარა ქალები ვალერსებოდნენ და დიდხანს ეთხოვებოდნენ, ბოლოს როგორც იყო ჯონის ფეხთ დააბინავეს. ტობი ჯერ მოსვენებული იწვა, როცა კი ჯონმა დაიძინა, აცოცდა, ჯონს გულში მაგრად ჩაეკვრა და უკბილად ჩაეძინა.

ექ. მესხისა.


(შემდეგი იქნება) •



შესახიშნავი ქვეყანა.

(მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში).

წვრილი მემამულენი.



მერიკაში წვრილი მემამულენი მრავალნი არიან, ამ მხრივ მეტათ შესანიშნავია შტატი კანზასი შეერთებულ შტატების დასავლეთი აქამდის სავსეა ცარიელი, შეუზღუდავებელი ადგილებით და ეს ადგილები სახელმწიფოს საკუთრებათ ითვლება. თვითონ შტატების კონგრესი მფლობელობს და მიწების გამცემ-გამომართმევეა.

თავისუფალი მიწები მსურველთ ეძლევათ ფულით: ზოგი პირდაპირ ნაღდ ფულზე ყიდულობს, იქნის საკუთრებათ; ზოგი კი სახმარებლათ იღებს ცალკე ამისთვის შემოღებულ კანონით. ეს კანონი ასეთია: ვინც მოინდომებს სამუშაოდ მიწის აღებას, — მიწის მახლობელ ქალაქში მართველობის მოხელესთან, რომელიც განაგებს მიწების საქმეს. იქ აცხადებს, რომ სრული წლოვანია, 21 წლისაა, ამერიკის მკვიდრი


მცხოვრებელია, ან აპირებს საშუალოთ ამერიკაში დასახლებას, სურს მიწის აღება, რომ მითი შეინახოს თავის თავიც და თავისი ცოლშვილიც. ყოველ ამ გვარ მსურველს შეუძლიან 60 დესეტინა დაუმუშავებელი მიწა მიიღოს. ამასთანავე დესეტინაზე 6 მ. 50 კ. უნდა წარადგინოს.

ვინც მიიღებს მიწას, მოვალეა ხუთი წლის განმავლობაში ნაწილი ნაინც ამ მიწისა შეიმუშავოს. როდესაც ხუთი წელიწადი გაივლის, მიწის აძღებმა უნდა მოხელეს ორი კაცი მოწამე წარუდგინოს, რომელნიც დაარწმუნებენ, რომ მან მიწა კარგათ შეიმუშავა და კვლავაც ღირსია დარჩეს მიწა მას. აგრეთვე სხვებსაც ნება აქვთ გამოაცხადონ, რომ იგი დაუდგ-

ვარია და მამულს ხეირიანად არ უგდო ყური. მიწის მფლობელი თუ შეიძლება დამტკიცებას, რომ ეს ყველა სიმართლეს მოკლებულია, მაშინ მამული საბუთით სამუდამოდ მას ეძლევა და შემდეგ, როგორც ყოველი შემამულე, მიწის ხარჯს ესეც იხდის და მამულის დაგირავების ნებაც ეძლევა. კანზასის შტატში მეტათ უბრალოთ და ადვილათ შოულობენ მიწებს რომელიმე პატარა ქალაქში ერთ სართულიან ხის სახლში გამართულია ხოლმე კანტორა, იქ ზის მიწების საქმეების გამგე მოხელე, მიუტანენ ხოლმე თხოვნის წერილს კანტორაში ორისამი მაგიდა დგას და რამდენიმე სკამი სკივრი ქალაქდებით და სხვა არაფერი. ერთ მაგიდას უზის სულ ახალგაზრდა მოხელე, მას თავაზიანათ უქრავს თავი

დიდი და პატარა უახლოვდება, ყველა თხოვს მიწას. ზოგი უქუდოთ დგას, ზოგს ქუდი ხურავს, ხელები ჯიბეებში უწყვიათ და თამამათ ლაპარაკობენ. მოხელე სხვა და სხვა კითხვებს უყენებს, პასუხებს სწერს და ბარათებს აძლევს. ყველა ეს სწრაფად და საქმის დაკვირვებით ხდება

ჩვენ ძალიან გაბედულათ მიგვაჩნდა, რომ ხუთი წლის ვადით აღებულ მამულზე სახელეზი დაიდგან და ძვირფასი



ერთქლით მამუშავე გუთანი

სამუშაო იარაღი შეიძინონ. ამაზე მოხელემ გვითხრა — არაფერი გაბედვა აქ არ არის. რამდენიც შემამულე უფრო კარგათ და მკვიდრათ მოეწყობა, იმდენათ უფრო დარწმუნებული იქნება, რომ მიწა მას არ წაერთმევა.

მიწაზე სახლდებიან ან თითო ვინმე, ან რამდენიმე ერთად. საყურადღებოა, რომ ამერიკელ ახალშენს აღებულ მი-

წაზედ გული ისე არ ჩამოსდის, როგორც ევროპიელ სოფ-
ლებს. ხშირად, გაიგებენ თუ არა, რომ სხვაგან უფრო კაი
მოსავლიანი მიწებია, მაშინვე აიბარგებიან და სტოვებენ თა-
ვიანთ შემუშავებულ ადგილს. მთელი ოჯახით, ბარგი-ბარხა-
ნით მიეშურებიან იქით, საიდანაც ამბავი მოდის ხოლმე. ყუ-
რადღებას არ აქცევენ არაფერს, გაბედულათ იტანენ გზაში
შევიწროებას და მიესწრაფიან ახალ მიწებისკენ.

ღელაკაცები კაცებზე მეტათ გაბედულები არიან. მათ
ვერაფერი ვერ შეაკავენს. სტოვებენ თავიანთ ლამაზ, კობტა
სახლ-კარს, ნაამაგარ ბაღს და გაუდგებიან უგზო-უყვლოთ
უცხო მხარეს. მთელი დღეები, მთელი კვირეები გზაში სულს
იძრობენ, რომ იქნება ცილწიონ საუკეთესო მიწებს.

რასაკვირველია, თუ ძალიან არ გაუჭირდათ საქმე, არა-
ვინ არ მიატოვებს ნაამაგარ მიწა-წყალს მაგრამ ახალშენელები
საზოგადოთ მეურნეობის მცოდნენი არ არიან. ზოგი დურ-
გალია, ზოგი წვრილი ვაჭარი და ზოგიც უბრალო მუშა-
ამათ დიდი ვაი-ვაგლახით მიჰყავთ ხოლმე საქმე: სანამ მიწა
ახალია და არ არის საჭირო არც ღრმათ მოხვნა და არც პა-
ტივი—კიდევ არაფერი, — უძლებენ მუშაობას. მერე კი, რო-
დესაც მკვიდრ ინდოელებთანაც მოუხდებათ ბრძოლა, — ველა-
რას აწყობენ და გაუდგებიან ახალ-ახალ მიწების საძებნელად,
რომ იქ დროებით მაინც დასახლდნენ. ეს ახალშენები ხშირად
ვალებშიაც ვარდებიან, რადგან მანქანების საყიდლათ არა
აქვთ ხოლმე ნაღდი ფული. საშველათ გამოჩნდებიან შუაკა-
ცები, ართმევენ თამასუქებს და ჰყვლეფენ ამ უცოდინარებს.

ამერიკელი წვრილი ფერმერი უბრალო სოფლელია, ისე,
როგორც ევროპიელი, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა.
ამერიკელ ფერმერს დიდი მოთხოვნილება აქვს: ის ვერ გასძ-
ლებს არა თუ უხორცოთ და უბოსტნეულოთ, — მას უნდა
ჰქონდეს ყოველთვის ჩიკაგოდან ხილი, ფლორიდიდან ფორ-
თოხლები და კალიფორნიიდან ყურძენი. მას უნდა გამოუღე-
ველი ჩინეთის ჩაი ჰქონდეს და ანტილის კუნძულებიდან ყავა.
საკითხავი გაზეთები და წიგნები არ უნდა მოაკლდეს. ვირჯი-
ნიიდან მოტანილ თამბაქოს ხმარობს და ახალ ინგლისიდან
ტანთსაცმელი მოაქვს. ფეჩებს ათბობს პენსილვანიიდან მოტა-




ნილ ქვის ნახშირით და დიდი ქარხნებიდან მოტანილ მანქანებით ამუშავებს მიწას. სახლის ასაშენებლათაც მომზადებულ მასალას ყიდულობს.

ამერიკელი წვრილი ფერმერი ზოგჯერ დიდ მოსავალს აგროვებს, მაგრამ ხორბალს სახლში კი არ ინახავს, არამედ გააქვს გარეთ და აბარებს ელექტორში შესანახათ, სანამ ხორბალი ფასში არ აიწევს; შესანახავს მართალია იხდის, სამაგიეროთ გააქვს ჩაბარებული ხორბლის ბარათი და თუ დასჭირდება, ბანკი მასში ფულს აძლევს. საზოგადოთ ელექტორში შენახული ხორბალი გააქვთ ევროპაში გასაყიდათ და ამიტომ ნიუ-იორკიდან მისატანათ ბევრი რკინის გზები გაჰყავთ.

ანატასია წერეთლისა.


(დასასრული).





მკ. გაბაშვილს,

მამ (არმოცდი წლის იუბილეს გამო).



აზი, კიმციმა ვარსკვლავი
მთვარის სხივებზე კრთებოდა;
ხან ცაზე ფართოდ მოსჩანდა,
ხან ისევ იმალებოდა!

მთვარე თუქიზი, ამაყი,
მედლიურობით ქებული;



კრიალა სარკეს მოჰგავდა,
სხივებით დამშვენებული!

* * *

ნელი ნიავი ბუტბუტით
ტურფა ვარდს ნაზად არხევდა, —
მისს ტკბილ სურნელსა ხან ბარად,
ხან მაღლა მთაში აპნევდა!

* * *

ემშით დამთვრალი ბუღბუღი
ვარდს ყნოსდა შორი ახლოსა
და სდარაჯობდა, უვლიდა,
რომ ხელი არვინ ახლოსა!

* * *

მღეროდა: ბედი გვილიმის,
კარგი დრო მოგვევლინაო;
მომუშავენი გამრავლდნენ,
აღარ დგებიან შინაო!

* * *

ზოგი ხნავს, ზოგიც მათგანი
ფარცხავს, აყოლებს თხრილსაო;
ზოგი-კი ისევ ამტქნარებს
და მისცემია ძილსაო!

* * *


აგერ ქალებმა ეს ყანა
მოხნეს, გათოხნეს ერთადო; —
ერთ პირი გასდევს თავის გზად
და ხილად შემეერთადო!

* * *

მათში მუყაით შრომითა
ირჩევა გაბაშვილიო:
გონიერებით აღსავსე,
სიტყვა მჭევრობით ზრდილიო!

* * *

განთიადისას იხილავთ
რაც საქმე მოიქმედაო; —



ნეტავი კიდევ გვეულოს
 ბევრი ამ გვარი დედაო“!

*
 * *


გათენდა. მზისა სხივები
 ზედ ყანას დაჰქათქათებენ;
 მოსაელით გაკვირვებულნი,
 ხალხნი კვლავ იმას აქებენ:—

*
 * *

„ჯეჯილი“ მოწიფებულა,
 თავ-თავნი თავსა ხრიანო;
 შენს დღევრძელობას, ასულო,
 მადლა ღმერთს შევედრიანო“!

ლადო გეგეჭკორი.





გოგონაჲ.

„ჩასაჯა გასტემ შენა,
ჩაჯ აჩა დაკარგულია“.
რუსთაველი.

მორმეტის თუ ცამეტის წლისა ვიყავი ერთ ზამთარს სალამოს გვერდ მიჯდა ჩვენი პატარა ბიჭი სიმონა და კითხვას ვასწავლიდი. მამა ჩემი შეგმოვიდა იმ დროს, თავზედ ხელი გადამისვა და მითხრა:—ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო გოგონავ, რომ ამ პატარას წიგნს ასწავლი!

— ერთმა დიდმა ფილოსოფოსმა სთქვა, შეილო, განაგრძო მამამ, რომ იმ კაცმა, რომელმაც თავის სიცოცხლეში სამი ხე დარგო, ახარა და ნაყოფი გამოაღებინაო, შეუძლიან სთქვას, რომ ჩემი ადამიანური დანიშნულება ავასრულეო: ქვეყნის ცხოვრების საღაროში ჩემი წვლილიც შევიტანეო. და ის კაცი ხომ, რომელიც სამ ადამიანს მაინც ასწავლის წერა-კითხვას, უდიდესის მადლობის ღირსია ადამიანთაგანაო. — ვინძლო, ეცადო და შენც უდიდესი მადლობა დაიმსახუროვო“.

არ ვიცი ამ მამა ჩემის ნათქვამმა იმოქმედა ჩემზედ, თუ თვით ჩემი ბუნება მოითხოვდა ამგვარ შრომას, ეს კია, რომ საცა უნდა ვყოფილიყავ და რა გარემოებაშიაც უნდა ვყოფილიყავ, უთუოდ ვასწავლიდი ვისმე წერა-კითხვას, ჩავაგონებდი წერა-კითხვის ცოდნის დიდ მნიშვნელობას.

პირველი ჩემი ვრცელი პედაგოგიური ვარჯიშობა ქ. გორში დაიწყო. 1868 წელს დაეასრულე კურსი ერთ თბილისის კერძო პანსიონში და საცხოვრებლად გადავსახლდი გორში, სადაც ბებია ჩემი ცხოვრებდა. იქ, როგორც ნას-


წავლ ქალს, რაც მაშინდელ დროს ძლიერ იშვიათი მოვლენა იყო, აქედ-იქიდან მთხოვდენ ბავშვების სწავლებას და არა ერთი და ორი თავად-აზნაურთა შვილები მოვამზადე სასკოლოთ.

როგორც ყველა პატარა ქალაქში მოხდება ხოლმე, აქაც უთუოდ გაეგოთ ეს ჩემი ხალისი ყმაწვილების სწავლებისა, ყველაწმინდის, სომხის ეკლესიის მოძღვრებს და რაკი იმ დროს აზრად ჰქონდათ ეკლესიასთან ქალთა სკოლის დაარსება, იმათაც მე მომმართეს და მთხოვეს ეს საქმე მომეწყო და პირველში მევე ვყოფილიყავ მასწავლებელიც და გამგეც სკოლისა.

მე დიდი სიხარულით ვიკისრე ეს საპატიო საქმე და ორი სამი კვირის განმავლობაში ერთ-ერთ საეკლესიო შენობაში მოვამზადებინე საკლასო დარბაზი. გამოვაწერინე თბილისიდან სახელთ-მძღვანელო წიგნები რუსული და ქართული, დაფები, გრიფილები, რვეულები, დავადგმევინე დიდი საკლასო დაფა და შევირდების მიღებას შეუდექი. აუარებელი მსურველი აღმოჩნდა სწავლისა. მაშინ გორში სასწავლებლები იშვიათი იყო და ქალების სასწავლებლის ხსენება ხომ არც კი იყო სადმე. პირველში 50 მოწაფე მივიღეთ. მე უფრო მოზდილ ქალებს ვაძლევდი უპირატესობას, ასე 12, 13 წლისას, რადგან იმათ უფრო დაუგვიანდებოდათ სწავლა და პატარეები კი საკვლავითაც მოესწრებოდნენ.

თუმცა სკოლა სომხის სამღვდლოებამ გახსნა, სომხის ეკლესიის ხარჯით, მაგრამ ქართველებს უარს არ ეუბნებოდნენ მიღებაზედ და ნახევარ მოწაფეთა რიცხვი სულ ქართველები იყვნენ. სხვათა შორის ნატო გაბუნია და მაშო ივანოვისა (დემურია).

პედაგოგიური თეორიებისა მე არაფერი გამეგებოდა მაშინ, მაგრამ ის კი ნათლად მქონდა წარმოდგენილი, რომ გორში მცხოვრებთა შვილებს უთუოდ ქართულათ უნდა დაეწყოთ სწავლა, რადგან სომხურისა ინიჩ არ იცოდნენ. და მეც სწორედ ასე მოვიქეცი, სწავლა ყველას ეროვნების განურჩევლად ქართულად დავაწყებინე გოგებაშვილის ან-ბანიო, სრულიად ახალის მეთოდით ჩემთვის, იმიტომ რომ მე თვითონ ძველებურის წესით ვიყავ ნასწავლი.



სკოლის რწმუნებულნი და მოძღვარნი სრულიად არ ერეოდნენ სწავლის საქმეში. მაშინ ვორელების გასომხება ჯერ აზრად არავის მოსვლოდა და სამშობლო ენაზედ დაწყებული საქმე და ახალი მეთოდი ძლიერ ხელს გვიწყობდა. სამ თვეზედ მთელმა კლასმა ჩინებულად შეისწავლა წერა-კითხვა ქართული და მაშინ რუსული ანბანიც შევიტანე ხმარებაში. რამდენათაც მახსოვს: «Родное слово», Ушинскаго.

მთელი ცხრა თვე ვიმეცადინეთ მე და ჩემმა მოწაფეებმა და დიდი ნაბიჯი წავდგით წინ. თითქმის მთელი კლასი ჩინებულათ კითხულობდა, სწერდა, ზეპირად ამბობდა ლექსებს არამც თუ ქართულად, რუსულათაც. სკოლის მზრუნველნი ხშირად უგდებდნენ ყურს ჩვენ გაკვეთილებს და ყოველთვის სიხარულით მეუბნებოდნენ: «ასე მალე და ასე კარგად სწავლება გვიკვირს, ჩვენ ხუთ-ექვს წელიწადს წერა-კითხვა რის ვაი ვაგლახით შევისწავლეთო».

მეც უხსნიდი ამის მიზეზს: სწავლის გადაცემის მეთოდის სიადვილეს და მასწავლებლის და მოსწავლეთა ურთი ერთ დამოკიდებულებაზედ. მართლაც მშვენიერი დამოკიდებულება დამყარდა ჩვენ შორის პირველი დღიდანვე: ერთმანეთის სიყვარული და ერთმანეთის პატივის ცეა.

ხუთი საათის მეცადინეობის შემდეგ ბავშვები არ მიეშურებოდნენ ხოლმე სახლისაკენ, პირიქით, გარს შემომეხვევოდნენ, მაძღვედნენ მრავალ კითხვებს, მიაბობდნენ თავიანთ თავგადასავალს, მიზიარებდნენ თავიანთ სურვილებს. მეც ახფრთოვანებული ვიყავი იმათის ნდობით, სიყვარულით და სწავლების გარეთ ვებასებოდი, ვეთამაშებოდი, ამხანაგურად უზიარებდი სიხარულსაც და მწუხარებასაც.

თიბათვის ათი იყო. ძალზედ დაცხა. სწავლა ძლიერ ძნელდებოდა ვიწრო და დაბალ საკლასო ოთახში, რომელშიაც დროებით იყო მოთავსებული სკოლა და მზრუნველთ ვსთხოვე სწავლის შეწყვეტა. იმათ ბავშვების გამოცდა მოინდომეს საჯაროთ. მეც, რასაკვირველია, უარი არ უთხარი, მაგრამ ჩემ განცვიფრებას სამზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დანიშნულ დღეს კლასში გამოცდის მაგივრად, ქალაქის საკრებულოში მიმიწვიეს. იქ უშველებელ დარბაზში შეკრებილ

იყვნენ შთელი სომხის სამღვდლოება, ბავშვების მშობლები და რამდენიმე ქალაქის საპატო პირნი.

მე ძრიელ შევკრთი, როდესაც ამოდენა ხალხი დავინახე, მაგრამ სკოლის მზრუნველების წრფელმა თხოვნამ და მოწაფეების ცრემლებმა დამარჩინეს. შეუდექით ეგზამენს. ჩემი გოგონეები ლამაზათ დართულნი და დავარცხლილნი რიგ რიგად გამოდიოდნენ კარებთან დადგმულ დიდ სტოლთან, რომლის გარშემო ექსპერტებად რამდენიმე ტერტერა იჯდა, და მორცხვად და მოკრძალებით, მაგრამ გულხმიერად იძლეოდნენ პასუხს ყველა ჩემ კითხვებზედ. შუა დღის სამი საათი იყო, საშინლად ცხელოდა, სუყველანი დიდად დაილაღნენ, მაგრამ ამ არა ჩვეულებრივმა საქმემ გორის ცხოვრებაში ყველანი იმდენად დაინტერესა, რომ მანამ უკანასკნელმა მოწაფემ არ დაამთავრა ეგზამენი, ფეხი არავის მოუცვლია. აი უკანასკნელი მოწაფეც წარსდგა საზოგადოების წინ. ეს იყო ბარამაშვილის ქალი, ლამაზი, ყარყარა, ქერა ხუჭუქებიანი და ქროდა თვალებიანი გოგონა, თეთრ კაბაში გამოწყობილი და ხმა მალლა მკაფიოდ წარმოსთქვა ბარათაშვილის ცნობილი პოემის ნაწყვეტი „არაგვი“. დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუხის ფრენას გაიგონებდით. უკანასკნელი სიტყვები ლექსისა: „და მაშინ თუნდა დაუგვიანდეს, იგი ამისთვის აღარ დალონდეს“, ისეთი სინარნარით წარმოსთქვა, თითქო სავსებით ესმოდა ამ ბაღს ამ უმაღლესის პოეზიის ნიმუშის სიდიადე. შთაბეჭდილება დიდი იყო. მე თვალები ცრემლებით ამევესო და გოგონას სიხარულით წაუჩუქრე: „ყოჩაღ, ჩემო მშვენიერო მეთქი და მზად ვიყავ მხურვალედ გადმეკაცნა ეს ჩემი მასახლებელი. დარბაზში საშინელი ზრიაძული ატყდა. ზოგი ტაშს უკრავდა, ზოგი იცინოდა, ზოგი სიტყვით გამოსთქვამდა თავის აზრს და სიამოვნებას. ექსპერტები ჩუმათ ისხდნენ, მეც იმათ გვერდით თავ ჩაღუნული ვიჯექ. თითქო სუყველანი კიდევ რაღასაც ელოდნენ. უცებ იმათში მჯდომი ტერსტეფანა, გორში კარგად ცნობილი მოძღვარი ტერსტეფანა, წამოდგა და თავისებურად თეატრალურად ხელების ქნევით და მჭექავის ხმით მიმართა საზოგადოებას: „ბატონებო! ხომ მოისმინეთ თქვენის ყურით ის, რაც ერთმა ადამიანმა მოი-



ქმედა ცხრა თვის განმავლობაში. ეს ადამიანი არის ეკატერინე თარხნიშვილი ჯერედ სულ ნორჩი; ჩვიდმეტი წლის ქალი, გამოუცდელი, მაგრამ... აქ ჩემმა ძაღლონემ მეტი ვეღარ აიტანა და მე ქურდულად გავიპარე იმ კარებიდან, რომელთანაც ეგზამენის დროს ვიჯექი და იქიდან გულის იართოლოვით და მუხლების ცახცახით ვისმენდი იმ დად მადლობას, რომელიც მამა ჩემის ანდერძით ეკუთნოდა ყველას, ვინც კი სამს ადამიანს მაინც ასწავლიდა წერა-კითხვას.

ის მადლობა დღესაც უურს მიდგას და მამხნეებს, მაიმედებს და მიაღვილებს სიბერის ტვირთის ზიდვას.

ექ. გაბაშვილისა.

1911 წ. აპრილი 15.



ვენა ნაჭიერა მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ორმოცი წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად „განათლების“ საზოგადოების ქალთა სასწავლებელმა თებერვლის პირველ რიცხვებში გამართა სალიტერატურო დილა. პაწია მოწაფე-ქალები მშვენივრად კითხულობდნენ მწერლის ნაწერებიდან ამოკრეფილ საუკეთესო ადგილებს, ერთმა მოწაფემ დალაგებულ ენით დაწერილი ადრესი მიართვა პატივცემულ მწერალს, სადაც სავსებით აღნიშნული იყო, —თუ რა სარგებლობა მოუტანა ერს მისმა დაუღალავმა შრომამ.

მშვენივრად, მწყობრად გალობდა იმავე სასწავლებლის მოწაფეებისაგან შემდგარი ქართული ხორო, რომელსაც ლობბარობდა ივ. აბხაიძე. ხორომ იმღერა: „დელი-დელა“, „ფაცხა“, „მურმან-მურმან“ და მრავალი სხვა. დასასრულ გაიმართა ცოცხალი სურათი, სადაც მწერლის თითქმის ყველა მოთხოვნების გმირები იყო ნაჩვენები შესაფერ ტანისამოსში გამოწყობილნი.


დილას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა. იუბილიარმა, აღტაცებით ცრემლ-მორყეულმა, გადაკოცნა მოწაფე ქალები.

თუთიყუშები.

(დასასრულა).



აყურადღებო ამბავს მოგვითხრობს თუთიყუშისას ერთი მკვლევარი, ბ. ვილსონი, რომელიც მოგზაურობდა ამერიკაში:—მინდოდა გამომეცადა, ადვილად მოშინაურდება თუ არა კაროლინის თუთიყუში (კაროლინა ადგილის სახელია ამერიკაში). ავიყვანე ერთი ამ ჯიშის თუთიყუში, რომელიც მსუბუქად იყო ფრთაში დაკოდილი, და ჩავსვი გალიაში. საკმელიც მივეცი მაშინვე. სჭამა საკმელი. გალია დერეფანში ეკიდა. სახელად ვეძახდი „პოლოის“. ერთხელ პოლოიმ ყური მოჰკრა იმ სახლის ახლოს გზად გამვლელ თუთიყუშებს, რომელნიც სადღაც მიფრინავდნენ. პოლოიმ დაუძახა მათ. იმათ პასუხი მისცეს. ამას იქით ხშირად მოდიოდნენ ხოლმე პოლოისთან გარეული თუთიყუშები; შორი-ახლო დასხდებოდნენ დერეფანთან და თავის ენაზე გაცხარებულ საუბარს გამართავდნენ პოლოისთან. მაშინ ერთი სტუმარი თუთიყუშთაგანი მსუბუქად დავსჭერი ფრთაში, დავიჭირე და ჩავსვი გალიაში პოლოისთან. უნდა გენახათ, რა რიგ ესიამოვნა პოლოისი მისი დანახვა. მაშინვე მიუახლოვდა, დაუწყა რაღაცა ჩურჩული, თითქო სიბრაღულს უცხადებს დატყვევებულსაო. ეალერსებოდა, სიყვარულით ნისკარტს უსვამდა თავზე და საზოგადოდ ძალიან დაუმეგობრდა. ახლად დატყვევებული მალე მოკვდა, რამაც პოლოი მეტის-მეტად შეაწუხა. რამდენსამე დღეს მოსვენება აღარ ჰქონდა, რაღაცას სწუხდა. მაშინ ავიღე და სარკე დავეყიდე მახლობლად. რო დანახა სარკეში პოლოიმ თავის თავი, სხვა თუთიყუში ეგონა და სრულიად შეიცვალა გუნება, გამხიარულდა. კარგი სანახავი იყო ხოლმე საღამოს ჟამს პოლოისს აღერსი მის სურათთან სარკეში. პოლოი მივიდოდა სარკესთან, სულ მიადებდა სარკეს თავს, იქნებოდა ერთ ხანს ასე და ღრუტუნებდა ნელის ხმით. ბოლოს ისე შე-




მეჩვია პოლლი, რომ გამოშვებული აღარსად მიდიოდა, სულ ჩემთან იყო; ხშირად მხრებზე დამაჯდებოდა, და როდესაც პურსა ვსჭამდი, ლუკმას გამომართმევდა ხოლმე პირიდან.

მეორე წელიწადში რომ ჩადგებიან ახალგაზრდა თუთიყუშები, მაშინ ბურტყლ-ბუმბულს სილამაზეც დაუსრულოდებათ და შთამომავლობაზედაც მაშინ იწყებენ ფიქრს. სიცოცხლე ხანგრძლივი იციან თუთიყუშებმა. არა ერთი მაგალითია, რომ თუთიყუშების ახალგაზრდა პატრონები მოხუცებულან, გადაცვლილან, თუთიყუში კი ცოცხალი ყოფილა კიდევ კაი ხანს.

თუთიყუშებს დიდი ნიჭი აქვსთ სხვა და სხვა ცხოვრების ხშირ მიბადვისა. ზოგიერთები ისეთნაირად დაიყეფენ, რომ სულ ძაღლის ხმა წარმოგიდგება; ზოგნი ჭყავიან კატასავით; ზოგნი ჰსტვენენ და ზოგნი გალობენ სხვა ფრინველების ხმაზედ. ადამიანის ხშირი მიბადვა იციან საოცრად! ხშირად მოტყუებულა კაცი, რომელსაც თუთიყუშის ლაპარაკი ესმოდა და, თითონ თუთიყუშს კი ვერ ჰხედავდა თავის თვალით დარწმუნებული ყოფილა, სწორედ ადამიანი ლაპარაკობსო, მაგრამ მერმე აღმოჩენილა, რომ თუთიყუში იყო და არა ადამიანი. ისე ცხადად, ისე წმინდად გამოსთქვამს არა მარტო ცალკე სიტყვებს, არამედ მთელს წინადადებებსაც, რომ შენს თვალს არ უჯერებ: უცქერ და ჰფიქრობ, აქ სადღაც ადამიანი უნდა ლაპარაკობდესო. რადგან ამისთანა ნიჭიერი ფრინველია თუთიყუში, მოშინაურებაც იცის და ლამაზიც არის, ამიტომ ევროპეელები ყიდულობენ ხოლმე თუთიყუშებს და ჰყავთ ოთახებში თავის გასართობათ. მოშინაურებულ თუთიყუშებს აქმევენ კანაფის თესლს, ბრინჯს, შერიას, სიმინდს, სალათს და კომბოსტოს. საზოგადოდ ყველაფერი ეჭმევა მათ, რასაც კი ადამიანი სჭამს, გარდა ნუშისა და ნიახურ-ოხრახუშისა, რომელიც ნამდვილი საწამლაგია მათთვის.

არის ერთი მოდგმის თუთიყუში, ჟაკო; ნაცრისფერია ეს კიდევ უფრო ნიჭიერია სხვებზე, უფრო იცის ადამიანთან დაახლოება და შეყვარება მისი. ქალაქს ამსტერდამში ჰყავდა თურმე ერთს ვაჟარს ჟაკო, სახელად „კარლოსი“. ამბობენ, იმისთანა კარგი ლაპარაკი იცოდლაო, რომ ნამდვილი ორატორი


იყოფო. ძალიან გამგონე იყო თურმე თავის პატრონისა. როგორც კი დაუძახებდა პატრონი:, აბა, ჟაკო, მომიტანე ჩემი არახჩინი*) და ფოსტლებიო; იგი მაშინვე მიუტანდა არახჩინ-



ჟაკო.

საცა და ფოსტლებსაც. როდესაც საჭირო იყო, ეჭუოდენ მოსანსახურეს დაუძახებო, და მაშინვე დაუძახებდა. გასაოცრად უყვარდა კარლოს მალაზიაში ყოფნა თავის პატრონთან და საქმეშიაც ჰშველიდა მას. როდესაც მუშტარი შევიდოდა, თუ არავენ იყო მალაზიაში, რომ პასუხი მიეცა, კარლო მაშინვე ჩხავილს მორთავდა და სჩხაოდა, სანამ არავენ შემოვიდოდა, რომ მიეხედა მუშტრისათვის. საუცხოვო მეხსიერება ჰქონდა და მწვენივრად ახერხებდა ვრცელ წინადადებების და სხვა და სხვა ანდაზების წარმოთქმას. სამოცი წლისა რომ შეიქნა, მეხსიერებამ უღალატა: თანდათან ავიწყდებოდა, რაც ჰქონდა ნასწავლი. წინად რომ ერთ მარცვალსაც არ დააკლებდა სიტყვას, ახლა და ახლა მხოლოდ ნახევარ-ნახევარ ფრაზებს ამბობდა, მეტს ვეღარ. ბოლოს სულ აურა-დაურია, ერთი ფრა-

*) არახჩინი, — საღამური ქული.




ზის სიტყვები მეორეში გადაჰქონდა და აზრი აღარა იყო-რა მის ნათქვამში.

ამ ჟაკოზე კიდევ უფრო შესანიშნავი იყო მეორე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ჰყავდა ერთს კაცს ქალაქს ვენაში. პატრონმა მოინდომა მისი სწავლება და განვითარება და ძალიან ბეჯითადაც შეუდგა ამ საქმეს. ყოველ დღეს ასწავლიდა დილის ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდის და საღამოს ათი საათიდან ღამის თერთმეტ საათამდის. მართლაც ბევრი რამე ასწავლა და ძალიან გაუხსნა გონება. ჟაკო ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა, რაც მოხდებოდა ხოლმე მის გარშემო. ეტყობოდა, რომ ჰფიქრობდა და აზროვნობდა; კითხვებზე სწორ პასუხებს იძლეოდა. რასაც უბრძანებდნენ მაშინვე ასრულებდა. სტუმრები რომ მოვიდოდნენ მის პატრონთან, იგი სალამს აძლევდა და წასვლისას გამოემშვიდობებოდა ხოლმე: დილაშვიდობისაო ეტყოდა, თუ დილა იყო და საღამომშვიდობისაო, თუ საღამო იყო. თავის დღეში არ ატრევდა ერთმანეთში დილასა და საღამოს. როდესაც მშვიერი იყო, საქმელს მოითხოვდა: ჟაკოს პური შიან, ჟაკოს პური აჭამეთო. სახლობაში ყველას კარგად იცნობდა და არჩევდა მათ ერთს მეორისაგან: ზოგის მათგანისას მეტს სიყვარულს იჩენდა, ზოგისას ნაკლებს. სიტყვებს გამოსთქვამდა წმინდად, როგორც ადამიანი. აი სხვათა შორის რაებს ლაპარაკობდა: — „გამარჯვება თქვენი, ბატონო პოლკოვნიკო, გამარჯვება!“ — „თხილი გინდა? უთუოდ მოგცემენ, მოგცემენ რასმე. ჰა, წაიდე! — „საუცხოო თუთიყუშია, ძალიან კარგი თუთია!“ — „სიმინდს გაქმევენ, უსათუოდ გაქმევენ რასმე!“ — მეზობელო, მეზობელო, უნდა მოავითმინოთ, უნდა დაგვაცადოთ!“ როდესაც დაარაკუნებდა ვინმე კარებზე, ჟაკო იმ წუთასვე გამოეხმაურებოდა, როგორც ადამიანი: „მობრძანდით, მობრძანდით! მე მზადა ვარ, თქვენი მონა და მორჩილი მოხარული ვარ, რომ მაქვს პატივი“. — თუთი, თუთი, როგორა ხალ? — „საქმელი გაქვს?“ მის გაღიაზე ზარი ეკიდა. დარეკდა ხოლმე ჟაკო ზარს და მერმე იკითხავდა: „ეს ვინ არის, რომ დარეკა? ვინ არის?“ ამ კითხვაზე თითონვე მიცემდა პასუხს: „თუთიმ დარეკა, თუთიმ!“ ახლა იკითხავდა, აბა, როგორ ლაპარაკობს ძაღლიო, და შემდეგ თითონვე და-

იწყებდა ძალივით ყეფას. რომ ეტყოდნენ, აბა თუთი, თრფი ისროლეო, იგი მაშინვე გაუნიშნებდა და დაიძახებდა: „ღუუუ!“ მის პატრონს მწყერი ჰყავდა. გახაფხულზე პირველად რომ ამოიღო მწყერმა ხმა და წამოიძახა „კრუ-კრუ“, ჟაკომ მიიბრუნა მისკენ პირი და უთხრა: „ყოჩაღ, ყოჩაღ, თუთი!“

ბოლოს უბედურობა ეწია ჟაკოს: პატრონი მოუკვდა. ჟაკო მეტის-მეტად დაღონდა და დასუსტდა. მერმე უქეიფოთაც შეიქნა. იგი დააწვინეს მის პატარა ლოგინში და უვლიდნენ, როგორც ავადმყოფ ადამიანს. ლოგინში მწოლარე თავს არ ანებებდა მაინც ყბედობას—ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ხშირად იტყოდა ხოლმე საცოდავის ხმით: „თუთი ავით არის, საწყალი თუთი ავით არის“. ამ სიტყვების ლაპარაკში ამოხდა სული.


ზემორე ნათქვამი გვიმტკიცებს, რომ ამ მოდგმის თუთი-ყუშებს კარგი გულის ყური ჰქონიათ, გონებით ნიჭიერები ყოფილან. ახლა მეორე მხრითაც გავშინჯოთ მათი სულიერი ძალები: დაინახავთ, რომ არა მარტო გონებით, ეს თუთიყუშები კეთილი გრძნობითაც შესანიშნავები ყოფილან. ერთს კაცსა ჰყავდა ჟაკო თუთიყუში, რომელმაც საუცხოო დედობა გაუწია ნიბლია ჩიტის ობლებს. ამ ჟაკოს პატრონს წალკოტი ჰქონდა. იქ ბუდე გაეკეთებიათ ნიბლია ჩიტებს. წალკოტის პატრონის ოჯახში ყველას ძალიან უყვარდა საზოგადოდ ცხოველები და ჩიტებსაც ყურს უგდებდნენ ხოლმე, წალკოტში რომ შევიდოდნენ, ხშირად საკენკს დაუყრიდნენ იქ მობინადრე ჩიტუნებს. ეს შეამჩნია თუთიყუშმა, რომელსაც ეძახდნენ „პოლლის“. რადგან გალიის კარი ხშირად გაღებული ჰქონდა, გამოვიდოდა ხოლმე გალიიდან თუთიყუში, მიუახლოვდებოდა ნიბლია ჩიტების ბუდეს და ნიბლიას ხმის მიბაძვით დაუძახებდა მის ბახლებს. იგინი მაშინვე თავებს წამოჰყოფდნენ. პოლლი იმ წუთსვე საქმელს მიაწოდებდა მათ, ჩაუღებდა პირში. ისე შეუყვარდა პოლლის ნიბლიას ბახლები, რომ აღარ შორდებოდა. მაგამ მეტის-მეტის სიყვარულით ისეთ ნაირად დაინახავლა ერთხელ ბუდესთან, როდესაც ბახლების მშობლები დაინახა იქ ბუჩქზე, რომ ნიბლია ჩიტები დაფრთხენ და სულ გადიკარგენ სადღაც, სამუდამოდ დასტოვეს თავის შვილები



საწყალი ბახლები დაობლდნენ, მაგრამ პოლოლი იკისრა მათი დედობა. თითონაც დედალი ფრინველი იყო და ბუნებისაგან მინიჭებულმა შვილების სიყვარულმა გაიდვიდა ახლა მის გულში. ამას იქით აღარ დაბრუნებულა იგი თავის გალიაში, ღამითაც წალკოტში რჩებოდა და უდარაჯებდა ბახლებს, არაფერი მოეწიოსო; თავის ღროზე საქმელს აძლევდა ყოველთვის და გამოზარდა ობოლი ჩიტუნიები. ჩიტუნიებმაც საოცრად შეიყვარეს პოლოლი. როდესაც ფრენა შეიძლეს, აფრინდებოდნენ, დაასკუბდებოდნენ ხოლმე პოლოლის თავზე და ზურგზე და იყვნენ იქ ლამაზად; პოლოლი კი ამ ღროს თავის პასსაჟირებით მიდი-მოდიოდა იქით-აქეთ, ღინჯად და სიამოვნებით ატარებდა მათ.

ერთხელ საოცარი სიხარბე გამოიჩინა დედალ-მამალმა თუთიყუშმა შვილების სიყვარულის ძალით. მათ პატრონს დიდი ყუთი ედგა ეზოში ფრინველების დასამწყვდევათ. ამ ყუთში დაბინავდა კატა თავის პატარა კნუტებითურთ. თუთიყუშებმა შენიშნეს ეს და, რადგან თავისი შვილები არა ჰყავდათ, კატის კნუტებს მოუნდომეს დაპატრონება. შეექნათ ომი კატასთან. მივიდოდნენ ხოლმე ყუთთან და ჩხუბს დაუწყებდნენ კატას! საწყალს საქმე გაუჭირვეს. მერმე როგორც კი დაინახავდნენ, რომ კატა ყუთიდან გამოვიდა და სადღაც წავიდაო, ერთი თუთიყუშთაგანი მაშინვე შევიდოდა კნუტებთან და გვერდით დაუყუჩდებოდა მათ. კაი ხანს გაგრძელდა ეს ამბავი როდესაც კატა შინ იყო, მის კნუტებს ხან დედალი თუთიყუშის უწვა გვერდით და ხან მამალი.—

აღექსი ჭიჭანაძე.



სხვა და სხვა ხალხი.

გოტენტოტავი.



უნების მეტყველი ლევაიანი, ახალგაზრდა მოგზაური, სხვათა შორის გოტენტოტებსაც ესტუმრა და ასწერა მათი შინაური ცხოვრება, სოფლები და საურთი-ერთო დამოკიდებულება. გოტენტოტები სამხრეთ აფრიკის მცხოვრებნი არიან. ლევაიანი ამ გვარად აგვიწერს მათ ცხოვრებას:

გოტენტოტების სოფელი, ან „კრალი“, როგორც თვითონ უძახიან, მდებარეობს ყოველთვის მაღლობზე, ან წყლის პირას და ტბის ახლო. სოფლის ორმოც-სამოციოდე ქოხი რკალს შეადგენს. ასეთი სა-


კვირველი მოწყობილობა სოფლისა აქვთ აგრეთვე პაპუასებს, და საზოგადოთ ზანგებსაც. ყოველი გოტენტოტის ქოხთან არის პატარა ბაღი, ან ეზო. ამ ბაღში ოჯახი ღამის გასათევად შერეკავს ხბოს, ბატკანს, ციკანს, რომ არ გავიდენ დედებთან. ქოხებს კარგა ბლომა ადგილი უჭირავთ, დახურულნი არიან ხარის ან ხბოს ტყავით, ან ჭებრალო კილობით. ქოხს აქვს მხოლოდ ერთი პატარა კარი—შუაში ანთია ცეცხლი, რომლის გარშემო ოჯახი თავს იყრის. ქოხი კომლით გავსილია, რადგანაც მას საბოლევ არა აქვს,—ძნელი გასაძლისია მეტადრე ევროპიელები-სათვის. გოტენტოტები დღისით არას დროს არ სხედან ქოხებში,—მხოლოდ დაღამებისას შედიან, გაშლიან კილობს, ზედ დააგებენ ხბოს ტყავს და ტკბილათ მიიძინებენ; თუ ღამე აცივდა, ზევდან მეორე ტყავს წაიხურავენ. დილით ყველა საგებს მილაგებენ კუთხეში, ხანდახან ჰაერზედ გაიტანენ მწერების გასაბერტყად, რომელნიც მეტად ძნელი მოსაშორებელი არიან.



გოტენტოტების ტანისამოსს შეადგენს ერთი ქამარი, ფეხებს შორის გაყრილი და უკან თასმებივით ჩაშვებული; ამ თასმაში ჩასხმულია ბრჭყვინავი ქვეები, შუშები. ყელზედ შემბულები აქვთ ძაფზე ასხმული ლოკოკინების სადაფები და უფრო ხშირად ძვალი, რომელიც თეთრად ბრჭყვინავს მათ შავ ტანზე. სხვა ველურები ატარებენ დაწოცილ ნათესავების ძვლებს, მაგრამ გოტენტოტები ხმარობენ მარტო ცხოველების ძვლებს და კბილებს, მაგ. გიპოპოტამას, რომელიც სპილოს ძვალზე უფრო ღამაზია. ასეთია კაცის მორთულობა.

ქალს ახურავს მოსასხამი, რომელიც ზურგს და უკანა ფეხებს უფარავს; წინ-საფარი გძელია, მუხლებამდის სწვდება; გაკეთებულია ზებრის ტყავიდან თეთრი და შავი ზოლებით. ქალები იკეთებენ სამაჯურებს, ქამრებს, ყელზედ შესაბამელს; ფეხებს იხვევენ ტყავის თოკებით, რომელიც იცავს ეკლისაგან და გველის ნაკენიდან. ქალები იღებენ სახეს შავი და წითელი ფერით, საღებავს აკეთებენ მიწისა და ქონისაგან. ეს მიწა ჰგავს დაფხვნილ აგურს. შავი საღებავი კეთდება ნახშირიდან. მათი საღებავი ბევრად სჯობია ევროპელებისას, რადგანაც უწყინარია, როგორც კანისთვის, ისე ჯანმრთელობისთვისაც. კაცები არ იღებენ სახეს, მაგრამ ტუჩებს ზევით იყრიათ სუნელოვანს ფხვნილს.

ქალები შვილებს ზურგით ატარებენ: როგორც-კი ბავშვი წამოიზრდება დააგდებენ მას ქოხის წინ და მარტო დაცოცავს, სანამ სიარულს არ ისწავლის. არას დროს, — ამბობს ლევიაანი, — არც ამერიკაში და არც აფრიკაში ველურთ შორის არ მინახავს კოჭლი, ან კუზიანი. ბავშვს დედა ზელავს ბატკანის ქონით. ეს აძლევს მას ღონეს და მოქნილობას. დიდებიც იზღვენ ქონით ტანსა, რადგანაც აფრიკაში, სადაც მშვეც ძლიერ აცხუნებს და ქარიც ძლიერ უბერავს, საჭიროა ეს. როცა ახალგაზრდა ქალი დასაწოლია, მას ეხმარება ხანში შესული ქალი, რის გამოც მშობიარობა მშვიდობიანათ თავდება. გოტენტოტებს უგონებენ, რომ ტყუპში ერთს ცოცხალს მარხავენ, აგრეთვე თუ დედა მოკვდა, შვილსაც ტყავში ახვევენ და საფლავში ჩაატანენო. მაგრამ ლევიაანი ამტკიცებს, რომ ეს მოგონილი ქორება, — გოლანდიელებისაგან შეთხზულია.



ქალები თხოვდებიან 12, ან 13 წლისანი, მათი შეუღლება თავისუფალია, განშორებაც ადვილია, თუნდ იშვიათად მოხდება გოტენტოტებს იშვიათად ჰყავთ ბევრი ცოლები. აგრეთვე ისინი კარგი მონადირენი არიან და ხმარობენ ხაფანგს ან მოწამლულ ისარს და შუბს. ისრები ლამაზად გამოყვანილია, — ლერწმიდან, სიგრძით 2 ფუტი; ბოლოზე მიკრულია პატარა ძვალი რკინის ჯოხით, რომელიც მოწამლულია. ყოველი თემი თავისებურად აკეთებს საწამლავს სხვა და სხვა მცენარისგან. საწამლავი გველის შხამისა ყველაზე უფრო საშიშოა. შუბი გრძელია, მაგრამ ორმოც ნაბიჯს იქით არ მიდის, — ომში-კი საშიშოა. გოტენტოტები თავისუფალი ხალხია: ისინი უმთავრესად მწყემსები და მონადირეები არიან. მიწის მუშაობა არ იციან.

გოტენტოტები სვამენ ძროხის, ან თხის რძეს. მათ უყვართ თამბაქო და ღვინო. ისინი იკეთებენ ერთგვარ სასმელს თაფლიდან და მცენარის ფესვებიდან. თამბაქოს მაგიერ სწევენ მცენარეს, რომელსაც უძახიან „დაგა“ს, ეს მცენარე მოტანილია ევროპიდან გოლანდიელებისაგან, რომელნიც სცვლიან ხარებზე და სხვა საქონელზე. გოტენტოტები იკეთებენ მსხვილ ყალიონებს ბამბუკიდან და თიხიდან. გოტენტოტები ხარებს ხმარობენ ცხენებსავე; აზიდვინებენ დიდ ტვირთს, თითქმის სამ ფუთამდე. გაუყრიან ცხვირში ჯოხს, სადაც მიაბამენ თოკს აღვირივით და ზედ შეჯდებიან. ხარს კარგი სიარული აქვს და სირბილიც იცის. ძროხებს და ცხვრებს სწველენ ქალები, მხოლოდ აფრიკის ძროხას თუ მოაშორებთ ხბოს, აღარ იწველის. უმთავრესი სენი საქონლისა არის: დამბლა და ენის გასივება ღორები და შინაური ფრინველები არა ჰყავთ. ბოსტნეულობაც ცოტა იციან, აქვთ მხოლოდ ერთი მცენარე, სახელათ „კამერო“, ტბილი, წყლიანი. ქვიან ალაგას იზრდება კართოფლის ნაირი, სახელად „კაანაპ“ს ეძახიან და გემო რძისა აქვს.

გოტენტოტები დიდხანს არ ცხოვრობენ; 70 წლის მოხუცი იშვიათია. დროს სთვლიან წვიმით და გვალვით, აგრეთვე მთვარის გადაბრუნებაზე. დღეებს ანგარიშობენ ათამდე. საათს მზის ამოსვლაზე და ჩასვლაზე წამლებს აკეთებენ მცენარეებიდან. ჰყავთ თავიანთი ექიმები, — კარგი მკოდნე იარის და გატეხილ ძვლების გამთელებისა. სისხლს არას დროს არ იშვებენ.



მკვდრის დამარხვა გოტენტოტებმა ასეთი იციან: მიცვა-
ლებულს ძონძებში გაახვევენ და ჩამარხავენ სოფლის ახლო
ხელად ამოყრილ ორმოში, ოს გა-
მოც ტურები და სხვა მხეცები მა-
ლე ამოიღებენ მას. გოტენტოტები
ხშირად გადადიან ერთ ალაგიდან
მეორეზე. ჯერ მიდის ძროხა და ფა-
რა, მერმე მოხუცნი და ავათმყოფნი
ხარებზე შემსხდარნი და უკან მთე-
ლი დოვლათი. სიკვდილის შემდეგ
ქონება გადადის შვილზე, ან ახლო
ნათესავზე ჯარის უფროსობა ამო-
რჩევით არის და დიდი უფლებებიც
აქვთ მინიჭებული. უფროსი არც



ტანით, არც სახელით არ განიჩევა დანარჩენებისაგან, მხო-
ლოთ ღამე არ სდარაჯობს. ომობენ ცალ-ცალკე, უგეგმოთ.
ენა ძლიერ ღარიბი და ძნელი გამოსათქმელი აქვთ, მაგრამ
სასიამოვნო მოსასმენი არის. მათ უყვართ ცეკვა და ხშირად
სალამოობით იკრიბებიან ერთად დროს გასატარებლად. მათი
მუზიკალური იარაღია: გურა, დაფა და სინიანი ფიცარი.

გოტენტოტები ცრუ მორწმუნენი არ არიან. სახეზე დი-
დათ გამოშვერილი აქვთ ძვლები, ფართო შუბლი, წვრილი ნი-
კაპი, რის გამო თავი ძლიერ პატარა სჩანს; ცხვირი დატყეპ-
ნილი ფართო ნესტოებით, დიდი ტუჩები მშვენიერი თეთრი
კბილებით, დიდრონი ღამაზი თვალები, ჩინელებივით ელამი.
შავი ხუჭუჭა თმები აქვთ, წვერი თხელი, კარგი ტანადები
არიან და მშვენიერი მხევრა-მოხვრა აქვთ. ქალები ნაზები არი-
ან, მშვენიერი გულ-მკერდი აქვთ, ხელ-ფეხი-კი მეტათ პატარა.

ისინი აუჩქარებელი ხასიათის არიან, მფრთხალი და მში-
შარა, მაგრამ მოხერხებული, თან ბავშვივით უღარდელნი არიან.
ზარმაცობაც თანა სდევთ.

გოტენტოტებისა და ევროპელებისაგან წარმოდგა მეტი-
სები, რომელნიც უფრო ყოჩაღები და მშრომელნი არიან,
მაგრამ უფრო ფიცხნი და ავგულები.

კ ა ზ რ ი.




ეორე ხალხი, რომელსაც აგვიწერს მოგზაური ლე-
ვაიანი, — არის კათრი. ეს ხალხი მეტად დაუდევარ-
ია და ომის მოყვარული. გოტენტოტებზე უფრო
ძალოვანი და ღონიერნი არიან. ამასთანავე ყოჩაღები და ამაყ-
ნი. კაფრები სახითაც სჯობიან: არც საფეთქლების ძვლები
აქვთ გამოვარდნილი და არც წვრილი ნიკაპი. ცხვირი და
ტუჩ-ნიკაპი ლამაზი და ფართო შუბლს ამშვენებს დიდრონი
ქვეიანური თვალები. კანი მუქი ფერისა აქვთ და სახეს იხა-
რავენ, შავი ხუჭუჭი თმები ელვარებენ, ტანზედ ჩვეულებათა
აქვთ ზეთის წასმა. კაცებს ქალებზე მეტათ უყვართ მოსარ-
თავეები. ხელ-ფეხი სპილოს ძვლის აუარებელი სამაჯურებით
გაქედლილი აქვთ. ხმარობენ ბლომად მძივებს და სადაფებს. სი-
ცხეში სულ ტიტვლები დადიან, ხოლო სიცივეში ტყავს წა-
მოიგდებენ.

ქალები ტანადები და ლამაზები არიან, ისინი სამაჯურებს
არა ხმარობენ, მხოლოდ წინ საფარი მძივებათ მოქარგული
აქვთ. თმაში ირქობენ ფრთებს ან თითბრის ნატეხებს. ქონე-
ბი კარგა დიდი აქვთ, თიხით შელესილ კარებს საზოგადოთ
ისეთ ვიწროს იკეთებენ, რომ კაცი შიგ უნდა შეეცოდეს.
ქონის გარშემო თხრილს იკეთებენ, რომ წყალი არ მიუდგეს.
ამათი მიწები უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გოტენტოტებისა.
თან ბევრი წყლებიც აქვთ, ამიტომ მიწის მუშაობა უფრო
ეხერხებათ. საქონელი ამათ უფრო წვრილი ჰყავთ. კაფრები
სხვა ხალხზე უფრო განვითარებულნი არიან, იციან ვაჭრობა,
ხელოვნობა, წარმოდგენა აქვთ ღმერთზე და საიქიოს ცხოვ-
რებაზე მართველათ ჰყავთ უფროსი მეომარი, რომელიც რამ-
დენიმე ცოლის პატრონია. კაფრები ბოსტნეულობას მისდე-
ვენ: მოჰყავთ: თამბაქო, ბადრიჯანი, გოგრები და პრასა. უე-
ლიან პალმებს, აკეთებენ თაფლს და წყლისაგან სხვა და სხვა
სასმელებს. უმთავრესი იარაღი შუბია. მოწამლულ იარაღს
არა ხმარობენ.



გოტენტოტი ჰგავს ვეფხს, რომელიც კუთხიდან დაეცემა მტერს, კაფრი კი ლომს, პირდაპირ დაეცემა მტერს, ომში ხმარობს ფარს ხარის ან კამბეჩის ტყავისას. მათ ბევრი ცოლგები ჰყავთ. ქორწინება ადვილი იციან. ქმრის ქონებას ინაწილებენ ცოლი და ვაჟიშვილები, ქალებს არაფერი ერგებათ. მკვდრებს არ ასაფლავებენ, მხოლოდ სოფლის გარეთ თხრილში ჩასდებენ მხეცების შესაქმელათ. კარგათ მარხავენ მხოლოდ უფროსს, მის საფლავს დააყრიან ბევრ ქვებს.

ნანო ვაჩნაძისა.



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი



უოგველადიური სპობატიკო და სლატრეატურო გაზეთი
მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარ-
სულს წელს გამოდიოდა.

უოგველ დლიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით — 4 მან.
80 კაპ., ერთი თვით — 80 მან.

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელო ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კით-
ხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную еже-
дневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:

На годъ . . . 6 р. — к.

На полгода . . . 3 р. 50 к.

Съ пересылкой въ другіе города:

На годъ . . . 8 р. — к.

На полгода . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. За границу — вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній — 1 руб., съ ино-
городняго на городской — 50 коп.

Объявленія въ предѣлахъ Кавказа принимаются исключительно въ цен-
тральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метгль и К. въ Москвѣ, Мяс-
ницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Мор-
ская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ тек-
стомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помещается въ Тифлисъ, на Дворцовой ул.,
въ домъ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели.

Издатель Д. П. Мадчавариани.

ჯეჯილი

საქმეწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

რუსლ მეორე ველიწალი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გაქმნება თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოხრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

4 მან, ქალაქ გარეთ (გაკსავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძარტონ:

თელავში — ენ. ნ. ჩოღაეაძეილს,

სიღნაღში — ენ. ნ. ანდრონიკაძეილს.

ჭიათურაში — ნიკო წუწუნავას.

ბათუმში — მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ. — გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинци.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реакція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Р. Д. Бебиевъ.

Издатели: { П. А. Готуа.
 { Кн. Г. I. Амираджиби.